ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

4 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
კოტე მარჯანიშვილი
4 ლარი


ქართული კულტურის ოქროს ფონდი
1
უნიკალური საარქივო მასალები
კოტე მარჯანიშვილი

ოთხშაბათი, 5 ივნისი, 2013 №131 (6132) ფასი: 30 თეთრი

# „გიგა ბოკერია, შეიძლება, დაიჭირონ“



## ვინ გაუშვა ირაკლი ალასანია შვებულებაში

გვ.3



## არჩილ კბილაშვილი: „ბურჯანაძის წინააღმდეგ სამხილები არა გვაქვს“

გვ.2



გელა ხვედელიძეს საქართველო არ დაუტოვებია



გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „მთავრობა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას აპირებს“

## მაგდა ანიკაშვილი: „ბავშვებისათვის ინვალიდობის სტატუსის მინიჭების წესი დასადგენია“

გვ.6





## სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილი ცდილობს, ივანიშვილს კავკასიის ლუკაშენკო უწოდოს“

გვ.5



გვ.6

## სტუდენტებმა განათლების სამინისტროს წინ აქცია გამართეს

## შსს სტუდენტებს დაასაქმებს

გვ.6

## ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნარკომოვაჭრე დააკავეს

1 ივნისს ბათუმის აეროპორტში, საქართველოს შსს-მ ინტერპოლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საერთაშორისო დონეზე დაკავების და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, გერმანიის და საფრანგეთის ინტერპოლის მიერ ძებნილი, 1963 წელს დაბადებული, თურქეთისა და სირიის მოქალაქე მაკი მოჰამედი დააკავა. როგორც საქართველოს შს სამინისტრო იუწყება, გერმანიის და საფრანგეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მაკი მოჰამედი წარმოადგენს ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ნარკომოვაჭრეს, რომელიც პერიოდულად ორგანიზებას უწევდა დიდი ოდენობით „ჰეროინის“ და სხვა ნარკოტიკების ევროპის ქვეყნებში შეტანას და გავრცელებას.

აღნიშნული პირი გერმანიის ინტერპოლის მიერ 2008 წლიდან იძებნებოდა. 2005 წლის აგვისტოდან 2005 წლის ნოემბრამდე ექვმიტანილი მაკი მოჰამედი სხვა პირებთან ერთად ჰანოვერში, დიუსელდორფში, როტერდამში, კენტერბერში, სტამბოლსა და სხვა ქალაქებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „დიამორფინით“ვაჭრობდა. მაკი მოჰამედს განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ სხვადასხვა მარშრუტით გადაჰქონდა თურქეთიდან დიდ ბრიტანეთში. ერთ-ერთი ფაქტის თანახმად, 2005 წლის ოქტომბერში მოჰამედმა ორგანიზება გაუწია თურქეთიდან ჰანოვერში 90 კგ „ჰეროინის“ ტრანსპორტირებას. აღნიშნული ტვირთის ნაწილი – 15 კგ მან დატოვა ჰანოვერში, ხოლო დარჩენილი 75 კგ გადაიტანა დიდ ბრიტანეთში. მაკი მოჰამედი საფრანგეთის ინტერპოლის მიერ 2009 წლიდან იძებნებოდა. ამჟამად დაკავებული მოთავსებულია აჭარა-გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორში და მის მიმართ მიმდინარეობს წინასაექსტრადიციო პროცედურები.

**მედიანიუსი**

29 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პიკასო
8 ლარი




ISSN 1987-9385

**4** ირაკლი სესიაშვილს საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი აქვს

**6** თეა წულუკიანი: „თუ მერაბიშვილი სანიმუშოდ მოიქცევა, ტელევიზორსა და რადიომიმღებსაც გადასცემენ“

**4** ელიზბარ ჯაველიძე: „ვინც „სახალხო კრებას“ შეეხება, ის ხალხისგან საკადრის პასუხს მიიღებს“

**4** კოტე კუბლაშვილი: „მოსამართლეთა კონფერენცია გამჭვირვალე იქნება“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# არჩილ კბილაშვილი: „ბურჯანაძის წინააღმდეგ სამხილები არა გვაქვს“

## გელა ხვედელიძეს საქართველო არ დაუტოვებია

შორენა კოწოწაშვილი

სამართლიანობის აღდგენის პროცესში, ფაქტია, სულ უფრო მეტი კითხვა ისმის მთავარი პროკურატურის მისამართით. ქვეყნის პირველი პროკურორი შეძლებისდაგვარად ცდილობს, მედიასთან გახსნილი იყოს და ყველა იმ კითხვას უპასუხოს, რომელიც ამა თუ იმ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით არსებობს. ამასთან, არჩილ კბილაშვილი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მისი თქმით, ამ პროცესში მეტი სიჩქარე რევანში და შურისძიება იქნებოდა.

—სამართლიანობის აღდგენა მიმდინარეობს იმ რეჟიმში, რომელშიც უნდა მიმდინარეობდეს. უფრო მეტი სიჩქარე იქნებოდა რევანში და შურისძიება, ჩვენ კი არ გვინდა, დავემსგავსოთ რევანშისტებსა და შურისმაძიებლებს. უფრო მეტი ტემპი შესაძლოა უფრო მეტი ზიანის მომტანი ყოფილიყო, ვიდრე სარგებლობის. ამის მაგალითი უკვე გვქონდა და ამან სამართალი არ წარმოშვა, არამედ წარმოშვა გულისტკივილი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ხალხი 7-8 წელი რიგს ელოდება. სამართლიანობის აღდგენა და განხორციელება – ეს არის პროცესი და საზოგადოებას მოვუწოდებ, ეს პროცესი დინამიკაში დაინახოს. უფრო სწრაფი ტემპი ზიანის მომტანი იქნებოდა, — განაცხადა გუშინ მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. მისი თქმით, სამართალი უფრო ჩქარა არ მუშაობს, რაც არ უნდა ნელი ჩანდეს, ტემპი სხვის თვალში.

მთავარმა პროკურორმა სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემლის — შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეზე გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ ბრალდებულ მერაბიშვილის დაკითხვა ღამღამობით არ მიმდინარეობს, როგორც ეს პრესაში ითქვა. კბილაშვილმა უარყო მერაბიშვილზე რაიმე სახის ზეწოლა და აღნიშნა, „სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მერაბიშვილზე ზეწოლა მიმდინარეობს, რათა მან ამა თუ იმ პირის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს“.

— ვანო მერაბიშვილს ბრალი, სავარაუდოდ, ორი კვირის ვადაში დაუმძიმდება, — განაცხადა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და ბრალის დამძიმების საფუძვლად სანდრო გირგვლიანის საქმე დაასახელა. კბილაშვილის თქმით, გირგვლიანის საქმის გამო მერაბიშვილისთვის ბრალის წარდგენა ამ ეტაპზე დახვეწის ეტაპზეა და ის ბრალში აუცილებლად მოხვდება.

— ვანო მერაბიშვილის მიმართ ბრალი სამ ეპიზოდს მოიცავს. თუმცა არის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეს უკავშირდება და მზადდება, რომ მას წარედგინოს. საკითხი ეხება გირგვლიანის გარდაცვალების შემდგომ არასწორი გამოძიების წარმართვას, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციასა და გამოძიებაზე ისეთ ზემოქმედებას, რომელმაც შედეგად ამ საქმეზე გამოძიების არასწორი წარმართვა მოიტანა. როგორც გაცხადდა, ეს ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ პასუხისმგებლობისაგან აერიდებინათ მაღალი თანამდებობის პირები, კერძოდ, დათა ახალაია და ასევე არ გამოკვეთილიყო მისი მეუღლის კავშირი „შარდენ ბარში“ მომხდარ ინციდენტთან. ეს არ არის სრული ჩამონათვალი. რაც შეეხება დროს, მას ბრალი მალე წარედგინება. ჩვენ ცალკეულ დეტალებს ვხვეწთ და ეს შეიძლება უახლოესი ერთი-ორი კვირის თემა იყოს. იქნება თუ არა სხვა ეპიზოდები, ამის პროგნოზირებას არ შევუდგები, რადგან მიმდინარეობს სხვადასხვა თემების გამოძიება, სადაც, მინიმუმ მერაბიშვილის შემხებლობა იკვეთება, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და იქვე დაამატა, რომ „გამოიკვეთება თუ არა მერაბიშვილის პასუხისმგებლობა სხვა საქმეებზე, წინასწარ ვერაფერს იტყვის, თუმცა გამორიცხული არაფერია“.



რაც შეეხება ეპიზოდებს, რომელიც ყოფილი შს მინისტრის სისხლის სამართლის საქმეში ბრალის სახით ფიგურირებს, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ერთია — კვარიათში, კერძო საკუთრებაში არსებული სახლის დაუფლება და მის გარემონტებაზე სახელმწიფო სახსრების ხარჯვა. მეორე — დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, რომელიც ე.წ. დასაქმების პროგრამაში 22 ათასამდე მოქალაქის ფიქტიურ ჩართვას უკავშირდება, რომლებიც რეალურად პოლიტიკურ აქტივობას ახორციელებდნენ. მესამეა 26 მაისთან დაკავშირებული ეპიზოდი. მას ბრალად ედება უფლებამოსილების გადამეტება, რაც გამოიხატა მიტინგის უმართებულო დაშლით, როდესაც რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო სხეულის დაზიანება, რამდენიმე კი გარდაიცვალა.

მთავარ პროკურორთან შეხვედრაზე ჟურნალისტები დაინტერესდნენ 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებული გამოძიებითაც. კბილაშვილმა ის მიზეზი განმარტა, რის გამოც პროკურატურამ ორი სასულიერო პირის მიმართ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით აღმკვეთი ღონისძიება არ მოითხოვა. — აღმკვეთი ღონისძიების აუცილებლობა გამომდინარეობს კონკრეტული პირის ბუნებიდან და შესაძლებლობებიდან. რამდენად შესაძლებელია, გაანადგუროს მან მტკიცებულება ან გაიქცეს ქვეყნიდან და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში არც ერთი გარემოება არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ რომ აღმკვეთი ღონისძიება გამოგვეყენებინა, ეს იქნებოდა არაბუნებრივი საჭიროება, არამედ ხელოვნური, — აღნიშნა კბილაშვილმა. მისი თქმით, ის, რომ სასულიერო პირების მიმართ ძებნა განხორციელდა, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აღმკვეთი ღონისძიება მეორე და მესამეხარისხოვანია.

— 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე გამოძიება გრძელდება. პასუხისგებაშია მიცემული ორი სასულიერო და ორი საერო პირი. მათ მიმართ დევნა დაწყებულია სს კოდექსის 161-ე მუხლით, რაც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფას ითვალისწინებს. ის, რომ სასულიერო პირების მიმართ დევნა განხორციელდა, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ფარავს სხვა დანარჩენს. აღმკვეთი ღონისძიება უკვე მეორე და მესამეხარისხოვანია. მე ვერ ვიხსენებ, სასულიერო პირებთან მიმართებით ასეთი გადაწყვეტილება პროკურატურას მიეღო, თუმცა ჩვენ გვაქვს იმის პრაქტიკა, რომ პირის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილიყოს, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა. მისი თქმით, როცა გადაწყვიტეს, რომ სასულიერო პირები პასუხისგებაში მიეცათ, იცოდნენ, რომ საზოგადოების უმრავლესობა არ იზიარებს იმ იდეებს, რაც უმცირესობის მხრიდან იქნა გავრცელებული. თუმცა კანონი სულ სხვა რამეს ამბობს. „კანონი ამბობს, რომ ყველა აზრი უნდა იქნას შეწყნარებული. მიუხედავად საზოგადოებრივი აზრისა, ჩვენ ეს გავაკეთეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება იყო“, — აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით წარედგინება თუ არა ბრალი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძესაც, რაზეც არჩილ კბილაშვილმა ასეთი პასუხი გასცა, რომ 26 მაისის საქმეზე ნინო ბურჯანაძესთან დაკავშირებით არანაირი გამოძიება არ მიმდინარეობს.

— რაიმე განცხადება ან სამხილი მის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ ჩვენ არ გვაქვს და, თუ ასეთი რამ მომავალში იქნება, ჩვეულებრივ განვიხილავთ, — აღნიშნა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორი ვერ ხედავს სპეცრაზმელების დასჯის აუცილებლობასაც 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით.

— არ ვფიქრობ, რომ სპეცრაზმელები უნდა დავსაჯოთ ანუ ის ადამიანები, ვინც ცემაში მონაწილეობდა. არ მიგვაჩნია, რომ ცალკეული სპეცრაზმელების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ისინი ნიღბებში იყვნენ და მათი იდენტიფიკაცია თითქმის გამორიცხულია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი დასჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. აქ მთავარი ის იყო, ვინც ბლოკირებაზე გადაწყვეტილება მიიღო. ადამიანებს შესაძლებლობა უნდა მისცემოდათ, რომ იქაურობა დაეტოვებინათ. ეს უფლებამოსილების გადამეტება იყო, — განაცხადა მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა.

რაც შეეხება ლაფანყურის თემას, რომლის მიმართაც საზოგადოების დიდი ინტერესი არსებობს და რომლის ხელახალი გამოძიების ეტაპზე დამოუკიდებელი ექსპერტებიც არიან ჩართული, როგორც ქვეყნის მთავარი პროკურორი მიიჩნევს, ეს ლაფანყურის ოპერაციაში პოლიტიკური მოტივი იკვეთება.

— ლაფანყურთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფი. რა თქმა უნდა, პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას მასზე. საგამოძიებო მოქმედებათა ფარგლებში ჩატარდა ექსგუმაცია და ექსპერტიზა. მასში მონაწილეობდა სახალხო დამცველის რეკომენდაციით ნომინირებული პირი. ეს მოხდა ჩვეულებრივი შერჩევის წესით და არ ნიშნავს, რომ რაიმე ხარვეზი იყო. გამოძიება მიმდინარეობს. რაიმე პროგნოზს ვერ გავაკეთებ, როდის დამთავრდება. იმ ვერსიების შემოწმება ხდება, რაც გაცხადებული იყო სახალხო დამცველის მიერ. ჩვენ დაინტერესებული ვართ ამ საქმის დროული გამოძიებით, თუმცა გამოძიება ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს. აჩქარების უფლება არ გვაქვს. თანაც უდავოა, რომ საქმე პოლიტიკურ შემადგენლობას შეიცავს. ამიტომ მეტი ხარისხით გვმართებს დასაბუთებულობა. ყველა წყარო უნდა იყოს მტკიცებულებების დონეზე გამყარებული. რადგან თემას პოლიტიკური შემადგენელი გააჩნია, მისი გამოძიებისას მეტი დრო გვეხარჯება, თუმცა გამოძიება დამთავრდება და კონკრეტული შედეგი დაიდება, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მთავარმა პროკურორმა ისაუბრა ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ რეგულაციებს საჭიროებს, თუმცა რამდენიმე საქმეზე, რომლებიც ჩამორთმეულ ქონებას ეხება, გარკვეული პროგრესია.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ჩამორთმეული ქონების თემა ფიგურირებს ვანო მერაბიშვილის საქმეში — კვარიათის თემა. ასევე ქონების უკანონოდ ჩამორთმევასთან დაკავშირებით ბრალდებული არიან კახეთის კუდის უფროსი ზურაბ ლალიაშვილი და მისი მოადგილე დავით ლორთქიფანიძე.

აღსანიშნავია, რომ ქონების უკანონოდ ჩამორთმევასთან დაკავშირებით ბრალდებულია ზურაბ ადეიშვილის ძმა, დავით ადეიშვილი, რომელიც ამჟამად ძებნაშია.

მთავარი პროკურორის თქმით, გურჯაანის ცალკეულ სოფლებში არსებული გაზსადენის ქსელების მისაკუთრების საქმეში ასევე ბრალდებული არიან კახეთის კუდ-ის უფროსი ლალიაშვილი და მისი მოადგილე ბუდაღაშვილი.

არჩილ კბილაშვილის თქმით, პროკურატურის ფუნქციაა ცალკეული ბრალეულობის დადგენა, შემდეგ დგება ანაზღაურების საკითხი, რასაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაცია დასჭირდება, რადგან ქონების ხელყოფის ფაქტები მასშტაბურია და დიდ თანხებს უკავშირდება.

მთავარი პროკურორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხთან მიმართებით გარკვეული რეგულაციის შემოღება უნდა მოხდეს და ამ გზით პროცესი უფრო ნორმალურად წარიმართება.

იმყოფება თუ არა შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე საქართველოში? — როგორც მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტებს განუცხადა, ხვედელიძე საქართველოშია და ის ქვეყნიდან არ გასულა.

მთავარი პროკურორის თქმით, ხვედელიძესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იოლი არ იყო და ემოციურ დონეზე უმძიმესი იყო როგორც შს მინისტრის, ისე პროკურატურისთვისაც.

— ძნელია ისეთი მოცემულობის გამკლავება, როდესაც თანაგუნდელის მიმართ სამართლებრივი ენით გიწევს საუბარი. ამ გადაწყვეტილებით ჩვენ გამოვხატეთ მტკიცე ნება, რომ დანაშაული, ვის მიერაც არ უნდა იყოს ჩადენილი, არ უნდა იქნეს შეწყნარებული, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა და იქვე დასძინა, რომ თუ პარალელს გავავლებთ წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილ დანაშაულთან, მაშინ არათუ მინისტრის მოადგილის, არამედ უფრო დაბალი რანგის მაღალჩინოსანთა დანაშაულის გადაფარვაც კი ხდებოდა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ არ ესწრებოდა სასამართლო პროცესს თავად გელა ხვედელიძე, მთავარი პროკურორის განმარტებით, ბრალდებულს კანონით აქვს უფლება, დაესწროს ან არ დაესწროს სასამართლო სხდომას.

# ჭორვილაში გინდათ ეკონომიკური კონგრესის გამართვა?!

როლანდ ხოჯანაშვილი

საქართველოს ბოლო პერიოდში გადაჭარბებული ოპტიმიზმის სენი შეეყარა. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს გვქონდა იმედი, რომ 5 წელში გერმანიის დონეზე ვიქნებოდით. სააკაშვილის ეკონომიკური გუნდი გვიმტკიცებდა, რომ ევროკავშირის ქვეყნებზე წინ ვიყავით დასაქმების სიიოლის თვალსაზრისით (შრომის კოდექსის მიხედვით ევროკავშირის ქვეყნები ვალდებულია, რომ დასაქმებამდე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლოს და გაითვალისწინოს მრავალი ნიუანსი სწორედ იმისათვის, რომ დაცული იყოს დასაქმებული, საქართველოში კი დამსაქმებელი ორიენტირებული იყო იმაზე, რომ შრომით რესურსს შეესრულებინა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო). ახლა კი ახალი მთავრობა გვაიმედებს, რომ ყველაფერი იქნება ძალიან მალე კარგად. ეს „მალე“ რამდენიმე თვეში რომ არ იქნება, ყველამ ვიცით. მოლოდნში კი ქართველებს ვერავინ გვჯობნის, დაველოდებით, აბა, რას ვიზამთ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის?!

აქვს თუ არა იმ ეკონომკურ ფორუმებს პოზიტივი, რომლებშიც საქართველო იღებს მონაწილეობას?! ამაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ეკონომკური კონგრესი წარმოადგენს დიდ სალაყბოს, რომელიც ყოველ საღამოს მთავრდება ბანკეტითა და ჯამში—დიდი ხარჯით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაედინება, —გააკეთა კომენტარი კონსულტანტმა ფინანსურ და საინვესტიციო საკითხებში ირაკლი ბერძენაძემ.

არსებობს სხვა მოსაზრებაც (რომელიც, ჩემი აზრით, ბევრად უფრო ახლოსაა სინამდვილესთან). ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძემ აღნიშნულზე განაცხადა: თავისთავად, ეკონომიკური ფორუმები ინფორმაციის გაცვლისა და ტენდენციების თაობაზე ინფორმაციის მიღების ძალიან კარგი საშუალებაა! არანაირი სხვა ფუნქცია მას არ აკისრია და თავისთავად, ფორუმი იქნება თუ არა, ამაზე არ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარება... რაკი ეს „მოედანი“ არსებობს დავოსში, ბერლინში და ა.შ. უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ფორუმის მიშვნელობის გადამეტებით შეფასება დიდი დილეტანტიზმია... ადამიანები საქმიან შეხვედრებზე ხომ არ ამბობენ უარს? ცხადია, არა! ე.ი. ფორუმი — როგორც დამხმარე საშუალებაა და სხვა არაფერი!

ჩემს მიერ იქნა მოპოვებული საჩ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გიგა ბოკერია, შეიძლება, დაიჭირონ“

## ვინ გაუშვა ირაკლი ალასანია შვებულებაში

შორენა მარსაგიშვილი

**1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გიგა ბოკერია, ფაქტობრივად გაუჩინარდა. უშიშროების საბჭოს მდივანმა მხოლოდ რამდენიმე განცხადება გააკეთა. ამან საზოგადოებაში, ბუნებრივია, მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბოროტი ხმები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ბოკერია ახალ ხელისუფლებასთან იყო შეკრული. მერე ისიც თქვეს, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი ნაციონალებთან გამიჯვნასა და ახალი პოლიტიკური ძალის შექმნას აპირებდა.**

ეს ხმები განსაკუთრებით 17 მაისის აქციის შემდეგ გამძაფრდა. ალბათ გახსოვთ, მაშინ მიხეილ სააკაშვილმა ბოკერიას საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. პრეზიდენტი რუსთაველის გამზირზე ფერადი აღლუმის გამართვის წინააღმდეგი გამოვიდა. გულში რას ფიქრობდა, ვერ გეტყვით, საჯაროდ კი თქვა, რომ იმ ადგილას ის ღონისძიება არ უნდა გამართულიყო. ამ დროს იმ აქციის ორგანიზატორად გიგა ბოკერია იქნა დასახელებული.

ბოკერიას პერსონას დამატებითი ინტრიგა ამ დღეებში შიდა ქართლის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა შესძინა. წესით და რიგით, ამ თემაზე უშიშროების საბჭოს სხდომა უნდა გამართულიყო. სხდომა კი აგერ უკვე 8 თვეა არ გამართულა. ამ საკითხზე ყურადღება ბიძინა ივანიშვილმაც გაამახვილა. რადიო „პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის დაინტერესდა, რაში იღებს ბოკერია ფულს.

– უკვე 8 თვეა, საბჭოს სხდომა არ მოუწვევიათ, რაში იღებენ ხელფასს და რას აკეთებენ? საყვედურები წამოვიდა ჩვენი გუნდიდან – რას აკეთებს უშიშროების საბჭო?! მხოლოდ ვაშინგტონში დადის და ლობისტებს ხვდება?! ბოკერიას ვაშინგტონში ყოფნა უძღოდა წინ „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიას. რას აკეთებენ ისინი ქვეყნისთვის, სად დადიან პრეზიდენტი და ბოკერია, არავინ არაფერი ვიცით. რაში იღებენ ჩვენი გადამხდელების ფულს?! სად იყვნენ აქამდე, ვინ დაუშალა ან ვინ შეუშალა ხელი?! – აცხადებს ივანიშვილი.

პრემიერი 2 დღის წინ გიგა ბოკერიას მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. ბოკერიამ ეროვნული უშიშროების საბჭოს მოწვევისთვის პრემიერ-მინისტრის თანხმობის აუცილებლობაზე ისაუბრა.

როგორც გიგა ბოკერიამ განაცხადა, ფორმალურად და რეალურადაც უშიშროების საბჭოს სხდომას პრეზიდენტი იწვევს, მაგრამ იმისთვის, რომ შეხვედრა აზრიანი იყოს, პრემიერის მზაობა უნდა არსებობდეს.

– უშიშროების საბჭოს იწვევს პრეზიდენტი, მაგრამ ახლა პოლიტიკური ცირკის დადგმა არავის არ სურს. პრემიერ-მინისტრი, საკვანძო გუნდი და მისი მინისტრები უნდა იყვნენ მზად და პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქონდეს სურვილი, პირველ რიგში ამ საქმიანი და არსებითი დისკუსიისა, – აღნიშნა ბოკერიამ.

პრემიერი ამბობს, რომ ბოკერიასთვის საპასუხო არაფერი აქვს, რადგან მითითებებს არ აძლევს ისეთ უწყებებს, რომლებიც მის უშუალო დაქვემდებარებაში არ იმყოფება.

– კეთილი ინებონ და ჩემი მითითებების ლოდინის ნაცვლად იმოქმედონ ისე, როგორც ამას კონსტიტუცია და კანონი ავალებთ. მნიშვნელობა არ აქვს, რა პოზიცია მაქვს მე, მათ უნდა გააკეთონ ის, რაც ევალებათ, – აღნიშნავს ივანიშვილი.

გიგა ბოკერის განცხადებით, თუ პრემიერ-მინისტრს აქვს ილუზია, რომ ტონის შეცვლით რუსეთის სტრატეგიული ხაზი შეიცვლება, ეს უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობაა.

ის შიდა ქართლში რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ გამყოფი ხაზის გავლებასა და იქ მავთულხლართების გაბმის თემას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს გაგრძელებაა იმ სტრატეგიისა, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გააჩნია.

– მთელი ეს პერიოდი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის მხრიდან არის შეუგუებლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან, ჩვენი არჩევანის თავისუფლებასთან და ზოგადად, მეზობლების სუვერენიტეტთან. ეს არის გაგრძელება იმ აგრესიისა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩვენს თვალწინ ხორციელდებოდა. ახალი ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან დიალოგის მცდელობა ლეგიტიმურია. გამოყენებულ უნდა იქნას ყველა საერთაშორისო ბერკეტი, რაც კი ჩვენს ხელთ არის. მიუხედავად შედეგებისა, შენარჩუნებულ უნდა იქნას ჟენევის ფორმატი, სადაც ჩვენს გვერდში ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები არიან. არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ რიტორიკის შეცვლის მცდელობები რაიმე შედეგს გამოიწვევს და რუსეთის სტრატეგია შეიცვლება. პირველ რიგში, თუკი პრემიერ-მინისტრს აქვს ილუზია, რომ ტონის შეცვლით და, მით უმეტეს, თავისი წინამორბედის კრიტიკით რუსეთის სტრატეგიული ხაზი შეიცვლება, ეს უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილობაა. ასე არ მოხდება. ერთადერთი გზა არის ყველა ლეგიტიმური ინსტრუმენტით, პოლიტიკურად თუ დიპლომატიური თვალსაზრისით რუსეთის შევიწროვება მსგავს საკითხებში, ბუნებრივია, დიალოგის მცდელობა, სადაც ეს შესაძლებელია. ყველა, ვინც დაუშვებს დისკუსიაში საუბარს იმაზე, რომ კომპრომისებზე წავიდეთ, კარგ შემთხვევაში არის ძალიან გულუბრყვილო, ცუდ შემთხვევაში, არ ვიტყვი, – განაცხადა ბოკერიამ.



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, არაკომპეტენტურია გიგა ბოკერიას განცხადება, რომ თითქოს უშიშროების საბჭოს მოწვევისთვის პრემიერ-მინისტრის თანხმობაა საჭირო.

– ეს საკითხი ჩვენ არაერთხელ დავაყენეთ, რომ პრეზიდენტს თავისი კონსტიტუციური მოვალეობა შეესრულებინა, მოეწვია უშიშროების საბჭოს სხდომა და იქ ემსჯელათ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე. ბოკერიას განცხადება, რომ ვითომ პრემიერის თანხმობაა საჭირო უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევისთვის, ეს არის სრულიად არაკომპეტენტური განცხადება. უშიშროების საბჭოს მოწვევისთვის პრემიერის არანაირი თანხმობა არ არის საჭირო, კონსტიტუციური მოდელის თანახმად, საბჭოს მოწვევა პრეზიდენტის ექსკლუზიური პრეროგატივაა, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

2 დღის წინ ზაქარია ქუცნაშვილმა პრეზიდენტს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვის მოთხოვნით მიმართა. როგორც ქუცნაშვილმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არჩევნების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ მიხეილ სააკაშვილს ამ მოთხოვნით არაერთხელ მიმართა.

– არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნება“ უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვას ითხოვს. პირველი ეს არის ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, ხოლო მეორე, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტები უცხოეთში. საზოგადოებამ არ იცის ამ ვიზიტების მიზეზები, ხარჯები და შედეგები, - განაცხადა ქუცნაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, უმრავლესობამ პრეზიდენტს უშიშროების სხდომის მოწვევის მოთხოვნით ბოლოს ორი კვირის წინ მიმართა, მაგრამ ამ ფაქტს რეაგირება მხოლოდ მას შემდეგ მოჰყვა, რაც კონფლიქტის ზონაში საზღვრის გადმოწევის ფაქტი დაფიქსირდა.

ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი და უშიშროების საბჭოს მდივანის გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩერგოლეიშვილი არ გამორიცხავს, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შემდეგი ნაბიჯი გიგა ბოკერიას დაკავება იქნება.

– გამოიცანით შემდეგი ნაბიჯი რა იქნება – გიგას დაკავება, – წერს ჩერგოლეიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ჩერგოლეიშვილი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, გიგა ბოკერია დაიჭიროს, რადგან პოლიტიკური პატიმრის ცოლობა საინტერესოდ მიაჩნია.

– დააკავეთ გიგა, ბატონო ბიძინა, ამით თქვენს დასასრულს დააჩქარებთ. მომენატრება, მაგრამ პოლიტიკური პატიმრის ცოლობაც საინტერესო გამოცდილებაა, – დასძინა ბოკერიას ცოლმა.

„რადიო პალიტრის“ ეთერში ივანიშვილმა სხვა თემებზეც ისაუბრა. მან გვერდი ვერც ირაკლი ალასანიას აუარა. თავდაცვის მინისტრი, მოგეხსენებათ, რომ შვებულებაში წავიდა. რუსი სამხედროების მიერ მავთულხლართების გავლება სწორედ მის შვებულებას დაემთხვა.

ამაზე ნაციონალებმა განგაში ატეხეს. ჩიოდნენ, რა დროს დასვენებაა, როცა მტერი ჩვენს მიწაზე მოცოცავსო. მავანმა ისიც იწინასწარმეტყველა, რომ ალასანიას რამდენიმე ხანში მოხსნიან.

გავრცელებული ჭორებით კი ირაკლი ალასანიას თავად უნდა ჰქონდეს გუმანში გადადგომა. ამბობენ, რომ საზღვარგარეთ შვებულებით წასული კონსულტაციებს მართავს. ის გაეროში საქართველოს ელჩი იყო და საკმაოდ გავლენიანი ნაცნობობა ჰყავს. ამბობენ, რომ ამ კონსულტაციების შემდეგ, შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს და საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

შეგახსენებთ, თავიდან სწორედ ირაკლი ალასანია უნდა ყოფილიყო ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი. მერე მას ივანიშვილთან მძიმე საუბარი ჰქონდა. რის შემდეგაც ვიცე-პრემიერის პოსტსაც დაემშვიდობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭორაობენ, რომ მას ამ შვებულებას გადააყოლებენ. გუშინ ივანიშვილის გაკეთებულ განცხადებაში ალასანიას საწინააღმდეგო არაფერი ჩანდა.

ირაკლი ალასანია შვებულებაში პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით გავიდა. როგორც პრემიერ-მინისტრი ამბობს, ალასანია დიცსა და დვანში რუსეთის მოქმედებებს წინასწარ ვერ გათვლიდა.

– დაიღალა კაცი, ბევრს მუშაობდა. რა თქმა უნდა, შემითანხმდა და წავიდა შვებულებაში, თუმცა, მალე დაბრუნდება, – აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი გადაცემა „რეზიუმესთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ბოროტი ხმები კი ისევ თავისას მიერეკებიან. დაველოდოთ, ალასანიას თუ მართლაც სურს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, ალბათ ახლო მომავალში დატოვებს პოსტს. და თუ ეს ასე მოხდა, მან ოცნების კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს შესაძლოა სერიოზული კონკურენცია გაუწიოს.

ივანიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს დიდი ამბიცია არ აქვს.

– იმდენად საინტერესო პიროვნებაა, იმდენად მრავალმხრივი, არ მომწყინდება საათობით ვისაუბრო მასზე. უფრო ღირსეული კანდიდატი ჩემთვის წარმოუდგენელია... მას ყველაფერი აქვს, არ ჰქონია უბრალოდ სურვილი პოლიტიკაში მოსვლის, თორემ გამოცდილება რატომ არ აქვს?! თქვენ ნახეთ, როგორი ექსპერტი იყო, როგორი ანალიტიკოსი. დებატებში სულ მონაწილეობდა და მონაწილეც იყო პროცესების. მას არც მაშინ და არც ახლა არ აქვს დიდი ამბიცია, რომ იცოდეთ. ეს არის კაცი, რომელსაც უნდა თავის ქვეყანას მოახმაროს საკუთარი გამოცდილება. არავითარი გადაჭარბებული ამბიცია მას არ გააჩნია, თორემ ისე ყველაფერი აქვს, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „პრაიმ-ტაიმთან“ ინტერვიუში.

მარგველაშვილის კანდიდატურის დასახელებასაც დიდი ჭორაობა მოჰყვა. საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ოცნების კანდიდატს. მავანი ამტკიცებდა, რომ მეოცნებეებმა სუსტი კანდიდატურა სპეციალურად დააყენეს, რათა ნაციონალების კანდიდატმა გაიმარჯვოსო. იმ პერიოდისთვის ნაცმოძის საპრეზიდენტო კანდიდატურად დავით ბაქრაძე მოიაზრებოდა.

# გიორგი ვაშაძე: „მთავრობა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

**საპრეზიდენტო არჩევნები ღამის კარს მოგვადგა. ერი ამ არჩევნებს დიდად არ ელოდება. ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია. ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ზოგი პოლიტიკური პარტიებიც მოითხოვენ. ცოტა ხნის წინ ამ თემაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემაც ისაუბრა.**

ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, რომ მას ნაციონალებთან ერთად პარლამენტში ჯდომა აღარ სურს და ვადამდელ არჩევნებს მხოლოდ მიესალმება. ვადამდელ არჩევნებზე არაერთხელ გააკეთა განცხადება ბიძინა ივანიშვილმაც.



პრემიერმა მიხეილ სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნისკენ რამდენჯერმე მოუწოდა. ამასთან დასძინა, რომ ისინი თავად არ შექმნიან ხელოვნურ კრიზისს, რომ საქმე აქამდე მივიდეს.

ნაციონალები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ მეოცნებეები ვადამდელი არჩევნების დანიშვნას შეეცდებიან. თბილისში უკვე ბევრს ჭორაობენ იმაზე, რომ შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად საპარლამენტოც ჩატარდება.

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის გიორგი ვაშაძის აზრით, მთავრობა სიტუაციის არევას და საპრეზიდენტოსთან ერთად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას შეეცდება.

– ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საქართველოში სიტუაცია არიოს. არევაში ვგულისხმობ იმას, რომ მე შემთხვევითად არ მეჩვენება, რომ უმრავლესობის მხრიდან პარლამენტის დათხოვნაზე დაიწყო საუბარი და სხვადასხვა კვლევებში, რომელიც ასოცირებულია „ქართულ ოცნებასთან“ უცებ გაჩნდა პარლამენტის დათხოვნის თემა – მისაღებია თუ არა ეს საზოგადოებისთვის. თუ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოხდა, ეს იქნება, პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელების გადაგრეხვის მეთოდით, რადგან „ქართულ ოცნებას“ არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და შეუძლებელია სხვა გზით პარლამენტის დათხოვნა. მე ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს სტაბილური განვითარების საშუალებას ხელს შეუშლის და ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის საბოლოოდ დასამარების გზა იქნება. რა რეაგირება მოჰყვება ამას ჩვენი მხრიდან და რას მიიღებს საპასუხოდ ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამაზე ჩვენ სტრატეგიულად ვფიქრობთ და მოვემზადებით ამ რეალობისთვისაც. ეს განცხადებები არ არის შემთხვევითი. ხელისუფლება ფიქრობს, რომ მას ჰყავს სუსტი საპრეზიდენტო კანდიდატი და აქედან გამომდინარე, მას ურჩევნია წავიდეს ერთდროულად საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე იმისთვის, რომ როგორმე ეს საპრეზიდენტო კანდიდატი გაიყვანონ, – განაცხადა ვაშაძემ „პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე..

ვაშაძემ გუშინ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით ხელისუფლებას შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზთან შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთიანი სამოქმედო გეგმის შექმნა შესთავაზა.

ვაშაძის განმარტებით, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში აუცილებელია ქვეყანას ერთიანი პოზიცია ჰქონდეს.

– აუცილებლად უნდა ჩატარდეს უშიშროების საბჭოს სხდომა; პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი რეზოლუცია ამ საკითხთან დაკავშირებით; ჩვენ უნდა შევიმუშაოთ საერთო პრინციპები, თუ როგორ ვმუშაობთ საერთაშორისო ასპარეზზე, რათა რუსეთმა დაიცვას ის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელიც გაფორმებულია და ისევ უკან გადაწიოს საოკუპაციო ხაზი, – განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს საზღვარგარეთ, რათა რუსეთის მხრიდან თვითნებობა აღიკვეთოს.

– ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ კოორდინირებულ სამუშაო რეჟიმს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეჩერდეს ცვლილებები ოკუპაციის შესახებ კანონში, – განაცხადა ვაშაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური საპრეზიდენტო კანდიდატად ვანო მერაბიშვილის დასახელებას გამორიცხავს. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

მისი თქმით, პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატურას პოლიტიკურ ძალაში ცოტა მხარდამჭერი ჰყავს.

– ჩვენ ორკვირიანი დრო დაგვრჩა მანამ, სანამ დასახელდება ჩვენი კანდიდატი. უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევები, სადაც გამოვლინდება ჩვენი ფავორიტი. ეს იქნება ის ადამიანი, რომელიც მხარდაჭერით სარგებლობს საზოგადოებაში. ვერსია, რომ მერაბიშვილი იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი და თან იყოს პატიმრობაში, პრაქტიკულად გამორიცხულია და მას ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს პოლიტიკურ ძალაში. ჩვენ არ გვინდა, რომ საპრეზიდენტო კამპანია იქცეს სხვადასხვა პოლიტიკური პროცესის ნაწილად, – აცხადებს დეპუტატი წიკლაური.

# ირაკლი სესიაშვილს საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი აქვს

ნათია ხურცილავა

რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხი იყო ერთ-ერთი განხილვის საგანი ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრას საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი ესწრებოდა სხვა ქართველ დეპუტატებთან ერთად.

დეპუტატები დვანსა და დიცში განვითარებულ მოვლენებს შემაშფო-



თებელს უწოდებენ. სესიაშვილის განცხადებით, „რაც საოკუპაციო ზოლზე ხდება, შემაშფოთებელია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც“.

სესიაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაციასთან შეხვედრამდე გააკეთა:

– საქართველოს ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკა. მათი ვიზიტი ემსახურება იმას, რომ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდეს და გამყარდეს. ჩეხეთი გვერდით გვიდგას სამხედრო პროექტებში, რისთვისაც მადლობას ვუხდით. ჩეხეთი ყოველთვის დაუდგება საქართველოს გვერდში ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში, – განაცხადა სესიაშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ჩეხეთის დელეგაცია გორს ეწვევა და ასევე ადმინისტრაციულ საზღვარს მოინახულებს.

– ის, რაც საოკუპაციო ზოლზე ხდება, შემაშფოთებელია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მათ შორის ჩეხეთისთვისაც. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ინფორმაცია მიიღონ როგორც ხელისუფლებისგან, ასევე ადგილზე გაეცნონ ვითარებას. ეს არის კიდევ დამატებითი ინფორმაცია მათთვის, რათა ხელისუფლებასთან ერთად გააგრძელონ მუშაობა რუსეთთან და დაარწმუნონ ისინი, რომ რა პროცესიც მიმდინარეობს საოკუპაციო ზოლზე, აბსოლუტურად მიუღებელი და დესტრუქციულია, – აღნიშნა სესიაშვილმა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრის ერთ-ერთი თემა, როგორც უკვე ცნობილია, დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები იქნება.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინთან შეხვედრაზე საუბარი შიდა ქართლში, საოკუპაციო ხაზთან შექმნილ ვითარებაზეც იქნება და ისინი ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიან.

– ამ თემას ვერანაირად ავუვლი გვერდს. ის სიტუაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებზე, ადამიანების გატაცება, ძალიან დაძაბული ჰუმანიტარული ვითარება – რა თქმა უნდა, ეს ხაზგასმით უნდა ითქვას. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ჩვენი თემები, რაზეც ვსაუბრობთ ხოლმე. შევაჯამებთ, რა გაკეთდა ამ დიალოგის დაწყების შემდეგ, – განაცხადა აბაშიძემ.

როგორც გუშინ შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართველმა დეპუტატებმა აღნიშნეს, საერთაშორისო არენაზე საოკუპაციო ზოლის გადმოწევის საკითხი დღის წესრიგში იქნება.

# „საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გააქტიურდეს“

ნათია ხურცილავა

რამდენად ადეკვატური პასუხი გასცა რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ხელისუფლების იმ პოლიტიკას, რომლის გამოც, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი კრიტიკაც დაიმსახურა ოპოზიციის მხრიდან? ამ საკითხებზე ინტერვიუ ვთხოვეთ თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით სიხარულიძეს:

– ბატონო დავით, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა და რუსეთთან დაკავშირებით რიტორიკა შეიცვალა, რამდენად იყო მოსალოდნელი, რომ რუსეთის საოკუპაციო ზოლი კიდევ გადმოიწეოდა? შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის რუსეთის ფედერაციის პასუხი ამ პოლიტიკის მიმართ?

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რიტორიკა შეიცვალა რუსეთთან მიმართებით, რა თქმა უნდა, ის, რაც მოხდა, მოსალოდნელი იყო. საფრთხეები, რომლის წინაშეც საქართველო დგას, კვლავ არსებობს. მიდგომები, რომელიც რუსეთს აქვს და ზოგადად რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ შეცვლილა. ამიტომ, ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ეს იყო აბსოლუტურად მოსალოდნელი. რუსეთი აგრძელებს თავის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და ეს მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია იმ აგრესიული პოლიტიკისა და ოკუპაციისა, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს.

– ამ ფონზე რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების რეაქცია?

– ამ კუთხით საქართველოს რეაქცია შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი – ჩვენ უნდა ავამუშავოთ ყველა დიპლომატიური ბერკეტი, ჩვენი დიპლომატიური და პოლიტიკური მცდელობები იმისა, რომ არა მხოლოდ საოკუპაციო ზოლის გადმოწევის, არამედ საქართველოს ოკუპაციის თემა შევინარჩუნოთ საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში.

– კონკრეტული რჩევები რა შეიძლება იყოს, რომ შედეგი უფრო რეალური იყოს?

– კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკა, კიდევ უფრო ინტენსიური პასუხი სჭირდება ამას, საგარეო პოლიტიკურ პასუხზე მაქვს საუბარი. ვფიქრობ, უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი ჩვენს პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში მეტი მუშაობა და ძალისხმევა უნდა გავწიოთ, რათა ჩვენი პრობლემა მხოლოდ ჩვენს პრობლემადღა არ დარჩეს. ვფიქრობ, აუცილებელია პირადი კონტაქტები უმაღლეს დონეზე, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ საჭიროა ამ კონტაქტების ამუშავება. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, ჩართული იყოს ყველა დიპლომატიური და საერთაშორისო მექანიზმი იმისათვის, რომ ამ ტიპის კრიზისულ სიტუაციებში ჩვენი პოზიცია დავიცვათ და ამ პოზიციის დაცვაში მარტო არ აღმოვჩნდეთ.

– რას იტყვით სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე? რამდენად გამართლებული შეიძლება იყოს ოკუპაციის პარალელურად სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება?

– სოჭის ოლიმპიადა არის კიდევ ერთი შესაძლებლობა იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ რუსეთს აქვს ყოვლად უკანონოდ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ, რომ არ იყოს ისეთი შეგრძნება, თითქოს ყველაფერი კარგად მიდის და არავითარი პრობლემა არ არსებობს. ეს წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებლობა, რომლებიც საქართველოს გააჩნია დიპლომატიურ ასპარეზზე, უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ყურადღება გამახვილდეს იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენთვის არის ძალიან მტკივნეული, იმისადმი, რომ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს რუსეთს, იმისადმი, რომ ჩვენ გვყავს 300 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. ამ ადამიანებმა დაკარგეს სახლ-კარი, ქონება, რომელიც მანამდე ჰქონდათ და არ აქვთ უკან დაბრუნების საშუალება. სწორედ ეს არის ის თემები, რომლებიც უნდა იყოს ჩვენი დიპლომატიის ფოკუსში.

– ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ არასამთავრობო სექტორის ნაწილი გამოდის მოთხოვნით, უარი ვთქვათ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

– მე ვფიქრობ, სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით შესაძლებლობა გვაქვს, გამოვიყენოთ ეს ოლიმპიადა იმისათვის, რომ კიდევ უფრო გამძაფრებულად მივიქციოთ თანამეგობრობის, ჩვენი პარტნიორების ყურადღება. როგორი ფორმით იქნება ეს, მოსაფიქრებელია. შესაძლებელია, სხვადასხვა ფორმა იქნეს მოფიქრებული, მაგრამ აუცილებელია, ვცადოთ ამ შესაძლებლობის გამოყენება. ყველა ასეთი ტიპის ღონისძიება გვაძლევს შესაძლებლობას, ხმამაღლა ვისაუბროთ საერთაშორისო საზოგადოებასთან ყველა იმ თემატიკაზე, რომლებიც ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის.

– პროტესტის ნიშნად მონაწილეობაზე უარის თქმა შეიძლება იყოს გზავნილი იმ საზოგადოებისთვის, რომლის ყურადღებასაც ითხოვს საქართველო?

– რასაკვირველია, ოლიმპიადაში მონაწილეობის არმიღებაც თავისთავად არის ნაბიჯი იმისკენ, რომ მათი ყურადღება მივაპყროთ

# კოტე კუბლაშვილი: „მოსამართლეთა კონფერენცია გამჭვირვალე იქნება“

ნათია ხურცილავა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე კოტე კუბლაშვილმა 9 ივნისს დაგეგმილ მოსამართლეთა კონფერენციაზე ისაუბრა. კუბლაშვილის ინფორმაციით, მოსამართლეთა კონფერენციამდე პროკურატურის წარმომადგენლები მოსამართლეებს ფარულად ხვდებიან, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევაა.



კუბლაშვილს ჟურნალისტებმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადების კომენტირება სთხოვეს, რომლის თანახმადაც, კუბლაშვილი მოსამართლეებს რეგიონებში, სასტუმროებში ხვდება და 9 ივნისს დაგეგმილი კონფერენციის თაობაზე ესაუბრება.

– ვადასტურებ, რომ იუსტიციის მინისტრს რამდენჯერმე შევხვდი და ამ შეხვედრებზე ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ მისი მხრიდან გარკვეული მოქმედებები აღიქმება მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევად და მე პირადად ვუთხარი მათ, რომ არ გააგრძელოს ასეთი საქმიანობა. ის, რომ მე მოსამართლეებს პირადად ვხვდები და რაღაცას ველაპარაკები, ნამდვილად არ ეხება ქალბატონ იუსტიციის მინისტრსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას, იმიტომ რომ მე ვარ უფლებამოსილი, შევხვდე მოსამართლეებს და ჩემი მოსაზრება გავაცნო ამა თუ იმ საკითხზე. მე შემიძლია, ეს გავაკეთო ყოველდღე, ყოველკვირა და ა.შ. ის, რომ მე მოსამართლეებს ვესაუბრები, ნამდვილად არ არის იუსტიციის მინისტრის შეფასების საგანი. მეორე საკითხია, აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს რამდენად აქვს უფლება, მოსამართლეებს შეხვდეს და ასევე თავისი მოსაზრებები ჩუმად გაუზიაროს. აი, ეს მე მიმაჩნია სწორედ მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაში ჩარევად. მე და არა მხოლოდ მე მაქვს ინფორმაცია, რომ ასეთი შეხვედრები არსებობს, არამედ ძალიან ბევრმა ადამიანმა, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იციან, რომ პროკურატურიდან აქტიურობს ერთი თუ რამდენიმე პროკურორი, რომლებიც მოსამართლეებს ხვდებიან და სწორედ არჩევნებთან დაკავშირებით რაღაცებს ელაპარაკებიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ არის მხოლოდ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია. მე ყველას მოვუწოდებ, ასეთი რაღაცები შეწყვიტონ, იმიტომ რომ ეს სასამართლოს დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევაა და ეს დაუშვებელია, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის განცხადებით, მოსამართლეთა კონფერენცია მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩატარდება.

როგორც კუბლაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, კონფერენცია 9 ივნისს, 11:00 საათზე დაიწყება და მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება, ვინაიდან ფარული კენჭისყრის შედეგების დათვლას დიდი დრო დასჭირდება.

– ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად გამჭვირვალედ ჩავატაროთ კონფერენცია, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს მოუწოდა:

– ახლა, როცა უკვე კანონი მიღებულია და რიგგარეშე კონფერენცია დანიშნული, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც, შესაძლოა, წამახალისებელი ან აგრესიის გამომწვევი გახდეს მოსამართლეებში, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ეს აღქმული იქნება, როგორც ჩარევა.

ასევე კოტე კუბლაშვილი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდება, მოგვიანებით კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში შესატან საბოლოო ცვლილებებს განიხილავენ.

# ირაკლი ღარიბაშვილი ევროპარლამენტის დელეგაციას შეხვდა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტის დელეგაცია გუშინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვია.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დელეგაციის წევრებს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები,ასევე, შს სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები განიხილეს.



ნიუსპრესი

# ელიზბარ ჯაველიძე: „ვინც „სახალხო კრებას“ შეეხება, ის ხალხისგან საკადრის პასუხს მიიღებს“

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრის, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის განცხადებით, თუ 26 მაისის მოვლენებში ნინო ბურჯანაძეს ბრალი მიუძღვის, ნიშნავს, რომ ბრალი, მთელს „სახალხო კრებას“ მიუძღვის, ხოლო ის, ვინც „სახალხო კრებას“ შეეხება, ხალხისგან საკადრის პასუხს მიიღებს.

ეს განცხადება ჯაველიძემ პრემიერის ინტერვიუს კომენტირებისას გააკეთა, როცა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუ საფუძველი იქნება, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობა გამორიცხული არ არის.

„თუ ადამიანი იურისპუდენციის მიმართულებით არ მუშაობს, თუ არ არის პროკურორი, იუსტიციის მინისტრი ან თანამდებობის პირი რომელიმე მსგავს სფეროში, ჯერ ერთი, მას მსგავსი კითხვა არ უნდა დაუსვან და მეორეც, მან ამ კითხვას არ უნდა უპასუხოს. არ შეიძლება ყველა კითხვას ერთ ადამიანს ვუსვამდეთ და პასუხსაც მხოლოდ ერთი ადამიანისგან ვითხოვდეთ. თუ 26 მაისის მოვლენებში ბრალი მიუძღვის ნინო ბურჯანაძეს, მაშინ ბრალი მიუძღვის მთელ „სახალხო კრებასაც“, რომელიც ერთადერთი ზეპარტიული ორგანიზაციაა. ვინც „სახალხო კრებას“ შეეხება, ის ხალხისგან საკადრის პასუხს მიიღებს“– განაცხადა ელიზბარ ჯაველიძემ „ნიუსპრესთან“ საუბარში.

ნიუსპრესი

# ევროპარლამენტარმა ლისეკმა ვანო მერაბიშვილი საპყრობილეში მოინახულა



საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გუშინ, ევროპარლამენტის საგანგებო დელეგაციის წევრმა კშიშტოფ ლისეკმა მოინახულა.

ლისეკმა მერაბიშვილის მონახულების სურვილი, გუშინ, საქართველოში ჩამოსვლისთანავე გამოთქვა. ლისეკის განცხადებით, მერაბიშვილი საინფორმაციო ვაკუუმშია.

„მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაახლოებით ნახევარსაათიანი საუბრის დროს, ბატონმა მერაბიშვილმა მკითხა თუ რა ხდება გარეთ, ვინაიდან მას საკანში ტელევიზორი არ აქვს.

რაც შეეხება პირობებს ციხეში, ის საერთო ჯამში ნორმალურია“ – განაცხადა ლისეკმა.

ნიუსპრესი

# სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილი ცდილობს, ივანიშვილს კავკასიის ლუკაშენკო უწოდოს“

ნონა ცაბაძე

სანდრო ბრეგაძე რუსეთის ქმედებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს არის ძალის დემონსტრირება რუსეთის მხრიდან. მისი თქმით, რუსეთი პირდაპირ მიანიშნებს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ თუკი ის არ იქნება კომპრომისი რუსეთთან მიმართებით და სხვაგვარ ნაბიჯებს გადადგამს, მაშინ საქართველოს ახალი ხელისუფლების დასჯა რუსეთს არ გაუჭირდება, ისე, როგორც სხვა, წინა ხელისუფლებების დასჯა არ გაუჭირდა.

***— ბატონო სანდრო, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არის მუქარა?***

— მუქარაც და ძალის დემონსტრირებაც. მე, ძირითადად, ეს მგონია, რადგან რამდენიმე მეტრით საზღვრის გადმოწევა, თუნდაც 300 მეტრი და თუნდაც 400, რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ამოცანა არ გახლავთ. ეს უფრო მეტად არის ძალის დემონსტრირება და გაფრთხილება, რომ ჭკვიანად მოვიქცეთ ქართველები. მე ასე ვხედავ ამას ყველაფერს. თუმცა, აქ ერთი რამეც არის აღსანიშნავი, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში ჩართული არიან ადამიანები, რომლებიც, როგორც ჩანს, ისე ვერ მუშაობენ, როგორც უნდა მუშაობდნენ და მათი დიპლომატიური ნაბიჯები, ფაქტობრივად, რაც კი დღემდე გადადგმულა, არის ფუჭი. ავიღოთ თუნდაც ონიშჩენკოს ყოვლად არაადეკვატური განცხადება იმის თაობაზე, რომ ქართული პროდუქცია არ ვარგა და, ამასთან ერთად, სამეგრელოს რეგიონში და სამაჩაბლოს რეგიონში საზღვრის გადმოწევა. ეს ნიშნავს იმას, რომ იქ, იმ მოლაპარაკებებზე, რომელიც იმართება, საქმე რაღაც კარგად ვერ არის. და საქმე წინ ვერ მიდის. თუმცა, ამავე დროს, მე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის ამ ქმედებებში გარკვეულწილად ქართველებიც იყვნენ ჩართულები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გამო, შესაძლოა, აკეთებინებდნენ რუსებს ასეთ ქმედებებს.

***— ყოფილ ხელისუფლებას გულისხმობთ?***

— დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ. არ გამოვრიცხავ არც ყოფილ ხელისუფლებას და არც ახალ ხელისუფლებაში შეპარულ და შეგზავნილ ზოგიერთ წევრს, თუმცა ამ ეტაპზე ამის დამამტკიცებელი საბუთები არა მაქვს.

***— რაც შეეხება ჩვენს ხელისუფლებას, რატომ არის ასე რბილი მათი პოლიტიკა, რა ხდება?***

— ახალი ხელისუფლების პოლიტიკა თავიდანვე იყო რუსეთთან ურთიერთობის დათბობის პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ამ პოლიტიკამ, მოდით, ვაღიაროთ, სერიოზული წინააღმდეგობები განიცადა. მე არ ვიხმარ სიტყვას კრახი განიცადა, მაგრამ სერიოზული წინააღმდეგობები ნამდვილად განიცადა. მეც ვფიქრობ, რომ რუსეთთან ურთიერთობის დათბობის პოლიტიკა არის ნორმალური პოლიტიკა და, თავის დროზე საომარი რიტორიკა რომ არ ყოფილიყო, ბევრად უფრო უკეთესი იქნებოდა, თუმცა ერთია, როდესაც შენ დეკლარირებულად ახდენ ახალი საგარეო პოლიტიკის დაწყებას და მეორეა, რომ ამის შემსრულებლები არაკომპეტენტურები არიან. მე ვფიქრობ, საქართველოს ახალი ხელისუფლება ფრთხილად ეკიდება ამას და სწორადაც იქცევა, იმიტომ რომ, რა თქმა უნდა, რუსეთის როლი და რუსეთის შეცდომა ძალიან დიდია, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ შეცდომები უნდა ვეძებოთ ჩვენს დიპლომატებში, რომლებიც ამ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სრულიად არაადეკვატური და სტაგნაციურია, ჩემდა სამწუხაროდ, იმ დიპლომატების მოღვაწეობა, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობაზე მუშაობენ. შედეგიც სახეზე გვაქვს. ჩემი ღრმა რწმენით, ამაზე გაჩერება არ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილს არწმუნებენ, რომ ყველაფერი ძალიან კარგად არის, სინამდვილეში კი ასე არ არის. მე საკმაოდ ბევრი ადამიანი მინახავს, რომელიც სწორედ გარემოცვის შექმნილ ილუზიას იმის შესახებ, რომ ყველაფერი კარგად არის, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩაუყენებია. რუსეთთან ურთიერთობასა და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე გვაქვს კატასტროფული სიტუაცია, შეიძლება ასე ითქვას.

***— გამოსავალს რაში ხედავთ, ბატონო სანდრო?***

— მოდით, ცოტას განვავრცობ თემას. როდესაც „ვაშინგტონ პოსტში“ იბეჭდება სტატია და, ვინც არ იცის, მინდა ავუხსნა, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ნებისა და პოლიტიკის გამომხატველი ორგანო. ყველაზე პოპულარული გაზეთი და ყველაზე ავტორიტეტული გაზეთი მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეიძლება ითქვას, მსოფლიოშიც. როდესაც „ვაშინგტონ პოსტში“ იბეჭდება სრულიად არაადეკვატური სტატია იმის შესახებ, რომ ივანიშვილი არის დიქტატორი, იმის გამო, რომ მერაბიშვილი დააპატიმრა, ხომ აბსოლუტური სისულელეა, მაგრამ, როდესაც ასეთი სტატია იბეჭდება და ასეთი სტატიები არ არის ერთი, არამედ არის ძალიან ბევრი და ამაზე შემდგომში პასუხი გაეცემა სხვა გამოცემებიდან, მაგრამ ის სხვა გამოცემები არის ბლოგის სახით ინტერნეტში განთავსებული, რომელსაც ვიწრო ადამიანთა წრე კითხულობს და არ კითხულობენ მასობრივად იგივე ადამიანები. მე ვფიქრობ, საქმე გვაქვს საგარეო პოლიტიკური მუშაობის ფაქტობრივ სტაგნაციასთან. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საგარეო უწყების წარმომადგენლები და დიპლომატები ამ შემთხვევაში უსაქმურები გამოდიან, რომლებიც „ახერხებენ“ ან ახერხებინებენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, რომ მსოფლიო ასპარეზზე ახალი ხელისუფლება წარმოაჩინონ, როგორც დიქტატორული და ავტოკრატიული მმართველობის რეჟიმი. ეს ევროპაში უკვე ფართოდ არის გავრცელებული. მე არ ვიცი, ამას შეიძლება არ აწვდიან ახალი ხელისუფლების პირველ პირებს თუ ვერ აწვდიან, მაგრამ, მე მინდა, საჯაროდ განვაცხადო, რომ მთელ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად და საკმაოდ წარმატებითაც მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდა იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი არის დიქტატორი. არადა, ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არ არის დიქტატორი და ეს ცხადზე ცხადია. არც ივანიშვილის ხელისუფლება არ არის დიქტატორული და ავტოკრატიული მმართველობის მქონე.



***— ვინ ეწევა ამ პროპაგანდას ამერიკაში?***

— თან ყველაზე საშინელება ის არის, რომ ამას ახერხებს სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რომლებიც ნამდვილად იყვნენ კრიმინალური, დიქტატორული და ავტოკრატული მმართველობის ჩამომყალიბებლები საქართველოში, თუმცა უცხოელებს ისე აწვდიან ამ ინფორმაციებს, რომ შედეგებს ვხედავთ. „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიას ასე ადვილად ნუ უყურებენ. ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიებით ხდება ქვეყნებში რევოლუციები. მე შემიძლია გითხრათ, რომ ლიბიასა და კიდევ სხვა ქვეყნებში სწორედ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიებითა და ანალიტიკური სტატიების შემდგომ დაიწყო რევოლუციები და მთავრობის ცვლილებები. ამას ნუ უყურებენ, რომელიღაცა ყვითელი პრესის გაზეთში რომ გამოქვეყნდება რაღაცა სისულელე და იმას ყურადღებას არავინ აქცევს. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს არის პოზიცია ამერიკის ხელისუფლებისა. ეს საკმაოდ რთული მოვლენაა და მე ძალიან მიკვირს ჩვენი საგარეო უწყების ხელმძღვანელობისა, რომლებიც ამ დროს უსაქმურობით არიან დაკავებული, პირდაპირ გეტყვით, რომ კაზინოდან კაზინოში გადადიან, რესტორნიდან რესტორანში დადიან, უცხოეთის სხვადასხვა კურორტებზე დასეირნობენ, ფართებს ესწრებიან, ლანჩებს ესწრებიან, მაგრამ რეალურ დიპლომატიურ მუშაობას ისინი არ ახორციელებენ.

***— რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა?***

— თუკი საგარეო უწყების ასეთი უსაქმურობა, უნიათობა და არაკომპეტენტურობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ამან შეიძლება მიგვიყვანოს შემდგომში გარკვეული ტიპის საერთაშორისო იზოლაციამდე. მე არ ვსაუბრობ სრულ საერთაშორისო იზოლაციაზე, მაგრამ გარკვეული ტიპის საერთაშორისო იზოლაციამდე მივალთ. მე არაერთხელ განვაცხადე, რომ საიდუმლო მასალებში, ამერიკულ წრეებში, სააკაშვილის ლობისტური კომპანიები ცდილობენ ტერმინის დამკვიდრებას და ეს ტერმინი ძალიან მალე დაიწყებს მუშაობას. ეს არის კავკასიის ლუკაშენკო, რომელიც უნდა უწოდონ ივანიშვილს. აი, ასეთი სახელით უნდა მოიხსენიონ ივანიშვილი. ესეც კი გათვლილი აქვთ და ამაზეც მიდის მუშაობა ანუ საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული მუშაობა მიდის და ეს აუცილებლად გამოიღებს თავის უარყოფით შედეგებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მოხერხება უნდა საგარეო უწყებისა და დიპლომატების მხრიდან, რომ სააკაშვილის რეჟიმი, რომელიც იყო პირსისხლიანი, ახალ ხელისუფლებას წარმოაჩენს, როგორც დიქტატორულს. ამას ხომ მოხერხება უნდა და მოახერხეს ეს ჩვენმა ახალმა დიპლომატებმა, რომლებიც საერთოდ ამ ქვეყანაზე არ არიან და ცხოვრებით ტკბებიან უცხოეთის კურორტებზე. ამიტომ ვაცხადებ, რომ შედეგი არ იქნება კარგი და ეს შედეგი გამოიხატება იმით, რომ საერთაშორისო ზეწოლა გაძლიერდება. მაინტერესებს, როგორ ვერ უნდა აუხსნა მსოფლიოს, მე მიკვირს, რამდენად უნიჭო უნდა იყო ან არაკომპეტენტური, რომ ვანო მერაბიშვილი არის სისხლის სამართლის დამნაშავე. ამაზე ადვილი ასახსნელი არაფერი არ არის. მისცენ ნებისმიერ წარმატებულ სტუდენტს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტზე სწავლობს, ამის უფლებამოსილება. ის ჩავა უცხოეთში და უცხოელებს აუხსნის, რომ ვანო მერაბიშვილის დაცვა მათთვის არის სამარცხვინო და ვანო მერაბიშვილი არანაირი პოლიტიკური პატიმარი არ გახლავთ. ამას ვერ ახერხებენ და ეს კატასტროფაა.

***— გამოდის, რომ დასავლეთი არ უჭერს მხარს ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას?***

— დასავლეთისთვის ეს ყველაფერი არ არის ისე მიწოდებული, როგორც უნდა იყოს. დასავლეთთან არ მიმდინარეობს არანაირი მუშაობა და მიზანმიმართული პოლიტიკა. ეს არის ქაოსურ პოლიტიკაში გადაზრდილი და არა მარტო საგარეო უწყებას ეხება, პრობლემები უკვე ნათლად გამოიკვეთა ბევრ საკმაოდ საჭირბოროტო საკითხშიც. იმავე საქართველოს რეგიონებში ჩვენ ვხედავთ საკმაოდ შემაშფოთებელ მოვლენას და არა მარტო რეგიონებში, პოლიტიკაში ვხედავთ შემაშფოთებელ მოვლენას, რომ სახეშეცვლილი ნაციონალები და მედროვეები იჭერენ ადგილს ახალი ხელისუფლების პირობებში, ხოლო ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხს აბსოლუტურად არიან დაცილებული. ყველაზე ვერ ვიტყვი ამას, მაგრამ ძალიან ბევრი მათგანი, დაახლოებით 50%, დაცილებულია ხალხს, განაგრძობენ ცხოვრებით ტკბობას და არანაირი კომუნიკაცია თავიანთ მოსახლეობასთან არა აქვთ. მოსახლეობის აზრს არ ისმენენ. მათთან მოსახლეობას კომუნიკაცია უჭირს. მე მიკავშირდება საკმაოდ ბევრი ადამიანი და მთხოვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს დავაკავშირო. ეს ხალხი ისეთ საკითხებზე მიკავშირდება, რომელიც არ არის პირადი საკითხი, რომელიც ეხება რაიონის პრობლემას, სოფლის პრობლემას, რომელიც ეხება საყოფაცხოვრებო პრობლემებს. აქ საკმაოდ დიდი მუშაობაა საჭირო, თუმცა ხალხი არავის ახსოვს. აქ არის ერთგვარი სტაგნაცია და ეს სტაგნაცია იწვევს იმას, რომ ხდება სიტუაციის დაჭაობება. თქვენ შეგიძლიათ ჩაატაროთ ექსპერიმენტი, აიღოთ მინისტრების ან პარლამენტარების ტელეფონის ნომრები და დაურეკეთ უცხო ნომრიდან, ნახავთ არც ერთი ამ ნომერს არ უპასუხებს. ტიპები დაბურულშუშებიანი ჯიპებიდან არ გადმოდიან და გამარჯობას არ ეუბნებიან ხალხს. არანაირი სახალხო ხელისუფლების ნიშნების მატარებლები ესენი არ არიან და ეს იწვევს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს. ქართველმა ხალხმა პირველ ოქტომბერს მოიპოვა გამარჯვება და ეს გამარჯვება იმისთვის არ მოუპოვებია, რომ სახეშეცვლილი ნაციონალები მომსხდარიყვნენ ხალხის თავზე და ისევ ის საქმიანობა გაეგრძელებინათ, რომლითაც ადრე იყვნენ დაკავებულნი. თუ ვინმე ამას დღეს ვერ ხვდება, ძალიან მალე მიხვდება. ბევრი რამის აფიშირებისგან ვიკავებ თავს, არ მინდა, ნაციონალური მოძრაობა გავახარო და წინ წავწიო, მაგრამ არის ისეთი საკითხები, რომლებზეც უკვე გაჩერება აღარ შეიძლება.

# ჭორვილაში გინდათ ეკონომიკური კონგრესის გამართვა?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსულო განყოფილებისადმი (№01-33/20, 25 თებერვალი, 2013 წელი), სადაც ვკითხულობთ: „მოგახსენებთ, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონი ინგა ზაბახიძე, საკრებულოს წევრები ბატონი ნუგზარ ბარელაძე და ქალბატონი ეკა ენუქიძე მიწვეულები არიან გერმანიის ქალაქ ბერლინის საერთაშორისო ეკონომიკურ კონგრესზე, რომელიც ჩატარდება 2013 წლის 6-10 მარტს. დელეგატების გამგზავრება საქართველოდან მოხდება 2013 წლის 4 მარტს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა იღებს პასუხისმგებლობას სრულად უზრუნველყოს სამივე დელეგატის: ინგა ზაბახიძის, ეკა ენუქიძისა და ნუგზარ ბარელაძის დაფინანსება.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ ბერლინის ეკონომიკურ ფორუმზე მიწვეული იყვნენ ეკა ტყეშელაშვილი და ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან გამგებელი სულხან მახათაძე და მზია ლეჟავა. მიწვეული სტუმრებიდან სულხან მახათაძემ დელეგატობაზე უარი თქვა. მან „ახალ თაობასთან“ საკითხზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „როცა დელეგატად მიმიწვიეს ბერლინის ეკონომიკურ კონგრესზე, ახალი დანიშნული ვიყავი თანამდებობაზე. მუნიციპალიტეტში უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი, ჩემი აზრით, ასეთ ღონისძიებებზე მონაწილეობაზე უარი უნდა მეთქვა, რადგან დროის დეფიციტიც მაქვს და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსაც გავუფრთხილდი.“

როგორც ირკვევა, საჩხერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების დაფინანსება ამ დრომდე არ გადაწყვეტილა დადებითად მუნიციპალური ბიუჯეტიდან. საკრებულოს თავმჯდომარეს, ინგა ზაბახიძეს, იმედი აქვს, რომ მუნიციპალიტეტი ხარჯებს აუნაზღაურებს, ხოლო რაც შეეხება თავად ბერლინის ეკონომიკურ კონგრესს, მისი შეფასება ასე გააკეთა: „ჩვენ ჩვენი ხარჯებით წავედით კონგრესზე, ზედმიწევნით სასარგებლო ფორუმი იყო, რადგან მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან იყვნენ წარმომადგენლები. მოვახერხე და საჩხერესთან მეგობრობის მემორანდუმი გავაფორმეთ ბერლინთან და კიდევ რამდენიმე ქალაქს შევთავაზეთ მეგობრობა, რომელიც დადებითად გადაწყდება. თავად კონგრესზე უამრავი ასპექტი იყო გაშუქებული ეკონომიკური პრობლემებიდან. თურმე მთელ მსოფლიოში ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა ისევე მწვავედ დგას, როგორც ჩვენთან. განხილული იყო კულტურულ-საგანმანათლებო საკითხები, გვაქვს უკვე პოზიტივები იმ მხრივ, რომ ჩვენი (ჭიათურა-საჩხერის) ტურისტული პოტენციალით დავაინტერესეთ ევროპის, აზია-აფრიკისა და ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები. ამას დავამატოთ ისიც, რომ კონგრესზე ჩვენ გავაკეთეთ შეთავაზება, რომ ანალოგიური კონგრესი გაიმართოს საჩხერეში. ქალბატონმა ეკა ტყეშელაშვილმა ირონიით აღნიშნა, რომ ამბიცია გაგვეზარდა . „ჭორვილაში გინდათ ეკონომიკური კონგრესის მოწყობა?“—დაგვეკითხა და ჩვენც ამბიციურად ვაცხადებთ, რომ საქართველოს დავოსი გახდება საჩხერე, მიუღწეველი არაფერია!“


## უკონტაქტო ბარათები თიბისი ბანკისგან!

მათთვის, ვისაც სურს დაზოგოს დრო და გაიმარტივოს სასურველი ნივთისა თუ მომსახურების შეძენა, დღეიდან შეუძლია ისარგებლოს თიბისი ბანკის უკონტაქტო ბარათებით !

ამიერიდან თიბისი ბანკის **ნებისმიერი ვიზა ბარათი — საკრედიტო ან სადებეტო**, შეგიძლიათ აქციოთ თქვენთვის ყველაზე კომფორტულ, უკონტაქტო ბარათად!

საჭიროა მხოლოდ ტერმინალზე ბარათის მიახლოება და სასურველი ნივთი თქვენს ხელშია.

ამისათვის, თქვენი ვიზა ბარათი, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებთ შოფინგისას, უნდა განაახლოთ თიბისი ბანკში, რაც მოგცემთ საშუალებას ყველაზე მარტივად, კომფორტულად და სწრაფად განახორციელოთ გადახდა ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში.

**უკონტაქტო ბარათების ღირებულება ბარათების არსებული ღირებულების ანალოგიურია.**

გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ გადახდის უკონტაქტო ფორმა არის სამჯერ უფრო სწრაფი ვიდრე ჩვეულებრივი, ტრადიციული ფორმა. ამასთან, თქვენი უკონტაქტო ბარათი გაცილებით უფრო დაცულია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ტიპის ბარათი, ვინაიდან მასთან კონტაქტი მხოლოდ თქვენ გაქვთ!




გადახდის სქემა შემდეგნაირია: მოლარე კრეფს გადასახდელი თანხის ოდენობას ტერმინალზე, რის შემდეგაც თქვენ გჭირდებათ ტერმინალთან ბარათის მხოლოდ მიახლოება.

თუ თქვენს მიერ დახარჯული თანხა 45 ლარს აღემატება, დაგჭირდებათ მხოლოდ პინ კოდის მითითება ტერმინალზე. უკონტაქტო ბარათით გადახდა შესაძლებელია 700-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, უკონტაქტო ბარათებით.

გახსოვდეთ, რომ უკონტაქტო ბარათები დაზოგავს თქვენს დროს და გაგიმარტივებთ ცხოვრებას — უკონტაქტო გადახდა გადახდის თანამედროვე ფორმაა!

2013, 5 ივნისი, №131

# მაგდა ანიკაშვილი: „ბავშვებისათვის ინვალიდობის სტატუსის მინიჭების წესი დასადგენია“

მერი ნამორაძე

**დარჩება თუ არა ზოგად რიტორიკად ბავშვთა დაცვის დღეს გამოთქმული განცხადებები თუ კეთილი სურვილები საქმედ იქცევა? სიტყვის საქმედ ქცევას ფული სჭირდება. ქრისტიან-დემოკრატები ირწმუნებიან, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად ეყოფა საიმისოდ თანხები, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს მძიმე ყოფა შეუმსუბუქოს, მთავარია, ხელისუფლებამ საამისოდ ნება გამოხატოს.**

გუშინ, „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ინვალიდი ბავშვების ბედით უფრო სერიოზულად დაინტერესებისაკენ ხელისუფლებას ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა, მაგდა ანიკაშვილმა მოუწოდა:

– გასული დღეების განმავლობაში ჩვენ არაერთი განცხადება მოვისმინეთ, მათ შორის ხელისუფლების მხრიდანაც ზოგადად ბავშვთა უფლებების და კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მდგომარეობის შესახებ. ეს სიტყვები რომ არ დარჩეს თარილისადმი მიძღვნილ ზოგად რიტორიკად, ქრისტიან-დემოკრატები მოვუწოდებთ ხელისუფლებას, განახორციელოს რამდენიმე კონკრეტული ინიციატივა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მდგომარეობას, – განაცხადა ანიკაშვილმა.

მისი თქმით, პირველ რიგში უნდა დადგინდეს ინვალიდობის სტატუსის მინიჭების სამართლიანი წესი ბავშვებისათვის და ამ ბავშვების პენსია უნდა გაუთანაბრდეს პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსიას. მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსება და საჭიროების შემთხვევაში შინ მოვლის სერვისის შეთავაზება და დღის ცენტრების სისტემის განვითარება, განსაკუთრებით რეგიონებში. ასევე გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს იმისა, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში თუ ნებისმიერ იმ სადაზღვევო პაკეტში, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სარგებლობენ, ჩაიდოს ან გაიზარდოს მედიკამენტების დაფინანსება.

– სამწუხაროდ, დღეს კიდევ გვიწევს იმის დაფიქსირება, რომ ამ მიმართულებით შეცვლილი არაფერი არ არის და არც ერთი პრობლემა არ არის მოგვარებული. ყველაზე მწვავე არის სტატუსის საკითხი იმიტომ, რომ დღეს გვაქვს სრულიად უსამართლო რეალობა. თუკი ზრდასრულებში გამოვყოფთ პირველი და მეორე ინვალიდის ჯგუფს, ბავშვებში ასეთი სტატუსები საერთოდ არ არსებობს. არის ერთი ინვალიდი ბავშვის სტატუსი და კიდევ უფრო დიდი უსამართლობა ის არის, რომ განურჩევლად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ყველა ინვალიდი ბავშვი იღებს მეორე ჯგუფის ინვალიდის პენსიას, რაც დღეს 70 ლარია. მაშინ, როცა პირველი სექტემბრიდან ეს თანხა გაიზრდება 150 ლარამდე, ბავშვები მაინც გაცილებით ნაკლებს აიღებენ. ამიტომ აუცილებელია სწრაფად გადაიჭრას ეს პრობლემა. შესაძლებელია ყველა ბავშვის პენსია გაუთანაბრდეს პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსიას. თუმცა, გარკვეული უხერხულობა შეიქმნება, როცა ზრდასრულობაში ზოგი მოზარდი მიიღებს მეორე ჯგუფის ინვალიდის სტატუსს, მას მოაკლდება თანხა. სასურველია, ხელისუფლებამ აირჩიოს უფრო გრძელი, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული გზა, რომ თავად ბავშვებშიც მოხდეს დიფერენცირება გარკვეულ ჯგუფებად და ვისაც აქვს ყველაზე მწვავე პრობლემა, მათ უნდა გაეზარდოთ პენსია, რომელიც უნდა გახდეს პირველი ჯგუფის ინვალიდის ოდენობის, – აღნიშნა ანიკაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატების აზრით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფინანსური დახმარება, არამედ განსხვავებული სერვისების შეთავაზებაც, როგორიცაა შინ მოვლის სერვისი მათთვის, რომლებიც სახლიდან ვერ გამოდიან. ასეთი სერვისი საერთოდ არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემაში. ვისაც გადაადგილება შეუძლია, მათთვის აუცილებელია დღის ცენტრების არსებობა:

– მოგეხსენებათ, დღის ცენტრები მხოლოდ დედაქალაქში მოქმედებს და მათზე მოთხოვნა არის გაცილებით დიდი, ვიდრე საჭიროება კმაყოფილდება. რეგიონებში ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს, ხელისუფლება თუ რაიმეზე უნდა ფიქრობდეს, უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ დაფინანსდეს რაც შეიძლება მეტი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ მოემსახურონ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს რეგიონებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის მედიკამენტების თანხა. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები ხორციელდება და უკვე გვაქვს საყოველთაო ჯანდაცვის პირველი საბაზისო პაკეტი, აქ მედიკამენტები არ შევიდა. ფინანსური ხელმისაწვდომობა მედიკამენტების მიმართ როგორიც იყო, ისეთივე რჩება და დღესაც განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა ჯანდაცვაში, განსაკუთრებით ინვალიდი ბავშვებისთვის, მათი მშობლებისთვის, რომლებიც დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან არიან. ამიტომ აუცილებელია ეს კომპონენტი ჩაიდოს საყოველთაო დაზღვევის პირველი რიგის ასამოქმედებელ მეორე ეტაპში, ან ჩაიდოს იმ სადაზღვევო პაკეტებში, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უკვე სარგებლობენ, – განაცხადა ანიკაშვილმა.



რამდენად გაწვდება დღევანდელი ბიუჯეტი დანახარჯებს, რომლებიც ამ ინიციატივების დასაფინანსებლად იქნება საჭირო? დღეს საქართველოში ინვალიდობის სტატუსის მქონე დაახლოებით 8 ათასამდე ბავშვია. ანიკაშვილი დარწმუნებულია, რომ გაორმაგებული ჯანდაცვის ბიუჯეტის პირობებში, თუნდაც ამ ინიციატივებიდან რომელიმეს ცალ-ცალკე განხორციელება, თუნდაც ყველასი ერთად, დიდი ტვირთი არ უნდა იყოს ბიუჯეტისათვის:

– ეს, უბრალოდ, პრიორიტეტების საკითხია, გადაწყვეტილების მიღების საკითხია და როდესაც დღეს მთელი ჯანდაცვის სამინისტრო, ყველა, ვინც კი მთავრობაში პასუხისმგებელია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასა და სოციალურ დაცვაზე, გადართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებაზე, ძალიან ბევრი საკითხი კი ყურადღების მიღმა რჩება, – ამბობს ანიკაშვილი. ასე, მაგალითად, თანხები უკვე დაიხარჯა თუნდაც საზოგადოების ძალიან მცირე მაღალშემოსავლიანი, სტაბილური სამსახურის მქონე ჯგუფზე მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ შემოსავლებიდან გამომდინარე საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა და გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისები შეეთავაზებინათ.

ანიკაშვილმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მომუშავე უწყებათშორისი საბჭოს მუშაობაც დაიწუნა, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში მუშაობდა პრემიერ-მინისტრთან და საერთოდ არ იკრიბებოდა. მხოლოდ ერთი-ორჯერ შეიკრიბა და ზერელე გადაწყვეტილების მეტი არაფერი მიუღია. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ახალმა ხელისუფლებამ დააქვეითა საბჭოს სტატუსი და დაუქვემდებარა ჯანდაცვის მინისტრს, პრემიერ-მინისტრის მაგივრად, იმის გამო, რომ საბჭო უფრო ქმედითი გამხდარიყო და რეალური გადაწყვეტილებები მიეღო. მიუხედავად ამისა, ანიკაშვილის თქმით, შედეგი პრაქტიკულად ნულის ტოლია და ინვალიდი ბავშვის მშობლებს უწევთ აქციის გამართვა კანცელარიის წინ ლოზუნგით „ჩვენც ვარსებობთ!“

– როგორს ჩანს, ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს აღარ ახსოვთ, რომ ეს ჯგუფი ჩვენი საზოგადოებისა არსებობს. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ არის რამდენიმე კონკრეტული საკითხი, რომლის გადაწყვეტას არც დიდი დრო უნდა და არც დიდი ფინანსები. უნდა ელემენტარული ყურადღება და გადაწყვეტილების მიღების უნარი, – განაცხადა ანიკაშვილმა.

## სტუდენტებმა განათლების სამინისტროს წინ აქცია გამართეს

მერი ნამორაძე

გუშინ განათლების სამინისტროს წინ სტუდენტურმა გაერთიანებამ „ანტიპოდი“ აქცია გამართა საზაფხულო დასაქმების პროგრამის გაგრძელების მოთხოვნით. განათლების სამინისტროს პოზიცია სტუდენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია. შეცვლის თუ არა საკუთარ გადაწყვეტილებას სამინისტრო, რომელმაც გაზრდილ ბიუჯეტს პრიორიტეტად პედაგოგთა ხელფასების ზრდა, უფასო სახელმძღვანელოებით ბავშვების უზრუნველყოფა და სხვადასხვა ფაკულტეტებზე სწავლების დაფინანსება დაუსახა, ძნელი სათქმელია. თავის დროზე ამ პროგრამის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებამ მისი არსი დააკნინა, თორემ რა სჯობს, სტუდენტ ახალგაზრდას ზაფხულში მაინც გაუჩნდეს ჯიბის ფულის გამომუშავების საშუალება და კვალიფიკაციაც აიმაღლოს? საეჭვოა, დღეს ჩვენი ბიზნესი და დამსაქმებლები მზად იყვნენ ამგვარი პროგრამა დააფინანსონ, რადგან შარშან აშკარად ძალით თავსმოხვეული ხარჯი გახლდათ მათთვის სტუდენტური დასაქმების პროგრამა. დღეს კი, როცა ერი და ბერი ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებაზე საუბრობს, დამსაქმებლებს თავს ვერავინ მოახვევს სტუდენტების თუნდაც ერთი თვით სამუშაო ადგილის გამოყოფას. წელს სტუდენტთა მოთხოვნის შესრულება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან არდადეგები კარს არის მომდგარი და ორ-სამ კვირაში სამუშაო ადგილების გამოძებნა და თანხების მობილიზება შეუძლებელ საქმესთან შეჭიდებას უფრო ჰგავს. სამომავლოდ კი არ არის გამორიცხული, მართლაც კეთილშობილური საქმე რეალობად იქცეს და ბიზნესმა და სახელმწიფოდ ერთად იფიქროს საზაფხულო დასაქმების პროგრამაზე.

გუშინ სტუდენტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ახალ პროექტში წინა წლებში არსებული ხარვეზების გამოსწორება იყო. კერძოდ, პროექტიდან უნდა იყოს ამოღებული პოლიტიკური პიარის ელემენტები და ასევე, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო. სტუდენტების თქმით, სტუდენტების დასაქმების ვალდებულება განათლების სამინისტროსთან ერთად ქალაქ თბილისის მერიასაც ეკისრება, რადგან 2012 წლამდე აღნიშნულ პროექტს თბილისის მერია ახორციელებდა.

სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, სტუდენტური თვითმმართველობები საზაფხულო დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდიან. ისინი ეხმაურებიან სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების მოთხოვნას საზაფხულო დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით და აცხადებენ, რომ თვითმმართველობის უფლება-მოვალეობაა დაიცვას და გაატაროს სტუდენტთა ინტერესები, ხელი შეუწყოს მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებას, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია სტუდენტებისათვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობები აცხადებენ, რომ იზიარებენ სტუდენტური დასაქმების პროგრამების მოთხოვნას და მიიჩნევენ, რომ ეს უნდა იყოს რეგულარული და კომპლექსური და არა ერთჯერადი ან ერთთვიანი. სტუდენტური დასაქმების პროგრამა არ უნდა გაკეთდეს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო კამპანიისათვის, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებმა კი ერთობლივად უნდა უზრუნველყონ სტუდენტების დასაქმება. თვითმმართველობები მიიჩნევენ, რომ მსგავსი პრობლემების გადაჭრა ვერ მოხერხდება აქციების ორგანიზებით და უნდა მოხდეს დასაქმების პროგრამის ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევენ შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს აღნიშნულ თემაზე და წარმოადგენს დასაქმების მოდელს და ორიენტირებული იქნება სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

## შსს სტუდენტებს დაასაქმებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, უწყებაში სტაჟირებაზე 110 სტუდენტს მიიღებს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან 500 სტუდენტის პირადი მონაცემებიდან, 140 კანდიდატი შეირჩა, რომელთაგან 110 სტაჟირებას გაივლის, ხოლო 30 გამოსაცდელი ვადით დაინიშნება. გამოსაცდელი

ვადის დასრულების შემდეგ, წარმატებული სტაჟიორები სამინისტროს სხვადასხვა

სამსახურებში დასაქმდებიან.

წარჩინებული სტუდენტების შერჩევა-შესწავლის პროცესი შს აკადემიაში მაისის თვეში დასრულდა. სამინისტროში სტუდენტთა დასაქმების შესახებ, შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2013 წლის იანვარში, „ქორთიარდ მარიოტში“ სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა, სადაც მათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის განვითარების მოკლევადიანი სტრატეგიის პროექტი გააცნო.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1995 წელს დაბადებული სანდრო ბ. დააკავეს.

დაკავებულმა 2 ივნისს, თბილისში, პუშკინის სკვერში, შურისძიების მიზნით, 1983 წელს დაბადებულ ერიკ მღებროვს ცივი იარაღით სხეულზე ორი ჭრილობა და მრავლობითი დაზიანება მიაყენა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ერიკ მღებროვი მიღებული ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მკვლელობის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

**ნიუსპრესი**

## თეა წულუკიანი: „თუ მერაბიშვილი სანიმუშოდ მოიქცევა, ტელევიზორსა და რადიომიმღებსაც გადასცემენ“



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ევროპარლამენტარებს სულხან მოლაშვილის პატიმრობას ახსენებს და აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილი ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რომელიც „ნაციონალური მორაობის“ მიერ დატოვებულ პატიმრობის კოდექსშია გაწერილი.

როგორც ევროპარლამენტარებთან შეხვედრის დაწყებამდე წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, თუ მერაბიშვილი მოიქცევა ისე, როგორც პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს, მაშინ მას არა მარტო ტელევიზორს, არამედ რადიომიმღებსაც გადასცემენ.

მისივე თქმით, პატიმრობის კოდექსში წერია, რომ ყველა დახურული ტიპის დაწესებულებაში, როგორიცაა ე.წ. მატროსოვის ციხე, პატიმრებს რადიო ან ტელევიზორი იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ ის სანიმუშოდ იქცევა.

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონი ვანო სანიმუშაოდ იქცევა“, – აღნიშნა მინისტრმა.

წულუკიანის განცხადებითვე, ამ ქვეყანაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება, ვიდრე მერაბიშვილის ციხეში ყოფნაა.

**მედიანიუსი**

## ქუთაისის ციხეში სამმა პატიმარმა მაგიდაზე ხელები დაიჭედა

ქუთაისის ციხეში სამმა პატიმარმა პროტესტის ნიშნად ხელები მაგიდაზე დაიჭედა. როგორც „ მედიანიუსს“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან აცნობეს, პატიმრები დაკავებას აპროტესტებენ და მიიჩნევენ, რომ მათი დაპატიმრება უკანონოდ მოხდა.

„სამინისტროს პრეროგატივა, როცა პატიმარი თავს იზიანებს, 24 საათიანი სამედიცინო მეთვალყურეობაა. პატიმრებს სამინისტროსთან არანაირი პრეტენზია არ აქვთ. ისინი თვლიან, რომ მათი დაკავება უკანონოდ მოხდა“,– განაცხადა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსმა ირაკლი კორძაიამ.

**მედიანიუსი**



## ირაკლი ალასანია დღეს ბრიუსელში შეხვედრებს გამართავს

ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში, ალიანსის შტაბბინაში, დღეს, ნატო -საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტერიალის ფარგლებში, დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორმხრივი შეხვედრები უცხოელ კოლეგებთან. გუშინ ირაკლი ალასანია, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაის შეხვდა. მხარეებმა ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

**ნიუსპრესი**

# ვინ აღვივებს რელიგიურ შუღლს

გულიკო ბალაძე

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ძალიან მალე ისეთმა პრობლემებმა იჩინა თავი, რომელიც აშკარად ხელოვნურად შექმნილს ჰგავდა. ვიღაც აშკარად სხვადასხვა ადგილებში ჩასახლებული აჭარლების სარწმუნოებით მანიპულირებდა. საქართველოში მუსლიმანური სარწმუნოების გასავრცელებლად, მულიმანური ქვეყნებიდან სერიოზული თანხები მოედინება, რომელიც გამიზნულია მათ მოსასყიდად და აჭარლების მეჩეთების მშენებლობაზე დასათანხმებლად. ამ მიზნით საქართველოში შეიქმნა ე.წ. მუსლიმანური თემები, რომლებიც გარკვეულ სამუშაოებს ეწევიან ამ მხრივ. მათ ხელშემწყობად და დამცველებად გამოდიან ასევე რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ვითომდა უმცირესობებს იცავენ, ამით დაფინანსებას ღებულობენ.

ამგვარი მცდელობის შედეგი ჩანს იმ პროცესებში, რაც ვითარდებოდა საქართველოს რიგ ადგილებში, სადაც აჭარლები ჩაასახლეს 20-30 წლის წინ. მათ რიცხვშია დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში შექმნილი ვითარება. ამ სოფელში 300 აჭარული ოჯახი ცხოვრობს ინგილოებთან ერთად. გუშინ ამ სოფლის აჭარელი მოსახლეობა შეიკრიბა და საჯაროდ განაცხადა, რომ მათ სოფელში მეჩეთი არ უნდათ.

ცოტა ხნის წინ, მეჩეთის გახსნის მხარდასაჭერად ჩასული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ერთ-ერთი მუსლიმანური თემის წარმომადგენლები სოფელში ინგილოებმა არ შეუშვეს. მავანს სურს ისე წარმოაჩინოს, რომ დაპირისპირება ინგილოებსა და აჭარლებს შორისაა. სინამდვილეში კი ასე არ არის. გვესაუბრება სოფელ სამთაწყაროს მცხოვრები ოთარ ფუტკარაძე.

– აჭარიდან საცხოვრებლად გადმოვედი 1985 წლის ნოემბერში. აქ 28 საუკეთესო წელი გავატარე. ძალიან კმაყოფილი და მადლობელი ვარ ამ ხალხის. ჩამოსახლების დღიდან ლამაზი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. იმ დროისათვის სოფელში არ იყო მაღაზიები, პური არ ცხვებოდა. ხალხი ვაგონებში ცხოვრობდა და ინგილოების მხრიდან იყო თანადგომა. ინგილოები შოთის პურებს (დედას პურებს რომ ეძახიან) აცხობდნენ და მოგვაწოდებდნენ ხოლმე. ვენახის მოვლას გვასწავლიდნენ. იყვნენ ისეთები, რომლებიც იცოდნენ ვაზის მოვლა, მაგრამ ჩემ სოფელში (აჭარაში), შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში, ვაზი ერთი ძირიც არ იყო.

***– ანუ მანდ დამკვიდრდით, სახლები ააგეთ, ბაღები გააშენეთ.***

– რა თქმა უნდა. სახლების აშენება იმდროინდელი პოლიტიკის შედეგია. საბჭოთა კავშირის დროს ალიევმა განაცხადა, მე ძალიან მჭიდრო დასახლებები მაქვს, შევარდნაძეს კი ალაზნის ველზე აუთვისებელი მიწები აქვს, გადავასახლებ და ცოტა განვტვირთავო. სამთაწყაროს მშენებლობა ერთ ღამეში გადაწყდა. აქ ცხოვრობდნენ ის ინგილოები, რომლებიც გამოექცნენ მაჰმადიანურ რეჟიმს აზერბაიჯანიდან. თავიანთი სამლოცველოდან ზარი ჩამოხსნეს, თითო ურემზე თითო ოჯახმა რაც დაატია, ის წამოიღეს და გადმოვიდნენ საცხოვრებლად. აქედან კახის რაიონს რომ გავხედავთ, წალკოტია. ჩვენ ნახევრად უდაბნოში ვცხოვრობთ.

***– თქვენ ნახევრად უდაბნოში ცხოვრობთ?***

– ასეა მიჩნეული. წლის განმავლობაში წვიმა შეიძლება 2-3-ჯერ არ მოვიდეს. დამოკიდებული ვართ სარწყავ სისტემაზე, რომელიც არ არსებობს. ახმეტიდან მოდის ერთი სარწყავი არხი, რომელიც გამოივლის მთელ კარდანახს, დედოფლისწყაროს და აქამდე, ფაქტობრივად, ძალიან ცოტა მოდის. ახლაც ისეთ საცოდაობაშია ხალხი. ორი ბრიგადის ტერიტორიაა დარჩენილი მოსარწყავი, 3-4 ფოთოლი გაიკეთა ვაზმა და გაჩერებულია. ვაზს აქ აუცილებლად მორწყვა უნდა, ჩვენ კი ამის საშუალება არ გვაქვს.

***– თუმცა, დღეს მავანი და მავანი, რომელიც დაინტერესებულია წყლის ამღვრევით, არ საუბრობს იმ საკითხებზე, რომელიც თქვენს სოფელს რეალურად აწუხებს, მაგრამ საუბრობს სარწმუნოებაზე. გვითხარით, კონკრეტულად, რა პრობლემა წარმოიშვა?***

– ძალიან გული მტკივა, ძალიან დათრგუნულები ვართ, რომ ძალით მოდიან და საუბრობენ ისეთ რაღაცებზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. უნდათ ხელზე რაღაც დაიხვიონ. რაც ჩვენს სოფელს სტკივა, იმაზე არც არაფერი გაჟღერებულა. ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ლამაზი ურთიერთობა გვაქვს. დღევანდლამდე ასე გვიცხოვრია. ვერავითარი ძალა ვერ არევს ამ სოფელს. არც იოცნებონ. ახლა ააგორეს მეჩეთის მშენებლობაზე. ინგილოებიც და ჩვენც ბედკრული, ძალიან დაჩაგრული ქართველები ვართ. ინგილოები აღმოსავლეთის მხრიდან იცავდნენ საზღვარს, ჩვენ – დასავლეთის მხრიდან. შუა საქართველო რომ გადარჩა, ეს ჩვენი და ინგილოების წყალობითაა. ახლა უნდათ, ერთმანეთს გადაგვკიდონ, მაგრამ ეს არ მოხდება. თუ 5-6 კაცში რაღაც იყო, ეს ზემოდან ზეწოლით. ამას წინათაც იყვნენ და პარასკევსაც აპირებენ ჩამოსვლას. შეცდომა იყო ერთი რამ – ჩვენ არ მოგვეცა საშუალება ჩვენი აზრი გამოგვეთქვა. ზოგიერთები ემოციურები არიან. ეს ჩვენ უნდა გვეთქვა, რადგან აჭარლების 98% უარს ვამბობთ მეჩეთის მშენებლობაზე. ჩვენ მეჩეთი არ გვინდა. გუშინ ნინოობა იყო (ვულოცავ ყველას) და 10 აჭარელი მოინათლა. 1 თვის წინ 30 აჭარელი მოინათლა. ხვალ-ზეგ კიდევ აპირებენ ოჯახები მონათვლას. 10-15 ოჯახის გარდა, ყველა ოჯახის წევრები მართლმადიდებლურად არიან მონათლული.

***– ბატონო ოთარ, ვინ ცდილობს ზემოდან ზეწოლას აქაურ ქართველებზე?***

– არ ვიცი, მაგრამ აქ დავინახე ადაძე, რომელიც, მგონი, რომელიღაც მუსლიმანური თემის წევრია. არ ვიცი, საიდან დაამყარეს კონტაქტი ჩვენს ერთ-ერთ ოჯახთან და ჩამოდის აქ. ფაქტობრივად, ისინი აქტიურობენ. ჩვენ კი არ მოგვეცა საშუალება ჩვენი სათქმელი გვეთქვა. ჩვენ ვართ იმ კუთხის შვილები, სადაც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, როცა დანარჩენ საქართველოში ჯერ არსად არაფერი რომ არ იყო და 98%-მა არაფერი იცოდა, გაგონილიც არ ჰქონდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება მკვიდრდებოდა ქვეყანაზე, თვით რომშიც, იტალიაშიც არ უნდოდათ და რომის იმპერატორები ქრისტიანობას სდევნიდნენ, მაშინ ანდრია პირველწოდებულმა ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა აჭარის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ დიდაჭარაში, იქ დააბრძანა და ააგო პირველი ეკლესია. ჩვენ იმ კუთხის შვილები ვართ და არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი სახელით ვიღაცეებმა ჩირქი მოსცხონ აჭარლებს.

***– 300 ოჯახიდან რამდენი კაცია, ვინც მანდ მუსლიმანობას აღიარებს?***

– ადაძეს რომ დაჰყვებოდა და გვერდით ედგა, მათმა ოდენობამ 15 კაცს მიაღწია. კულმინაცია იყო 15 კაცი. უნდოდათ, გამოჩენილიყო ცალკე სახლი, სადაც შეეძლებოდათ მეჩეთის გახსნა, მაგრამ ჩვენთან საუბრის შემდეგ გადაიფიქრეს. ეგონათ, მეჩეთის მსურველთა რიცხვი გაიზრდებოდა, მაგრამ არ გაიზრდება. დამაინტერესა და აჭარაში, ჩემ სოფელში ჩემ ახლობელ შოთა ცეცხლაძეს დავურეკე, რამდენი ოჯახი დარჩით-მეთქი. 60 ოჯახია და 300 კაცი ცხოვრობსო. აქედან მოზარდი 15-20 იქნება. არასრულწლოვანი კი – 100 კაცი. დარჩა, 250. ამ 250 კაციდან ჯამეში რამდენი დადის-მეთქი. 9-10 კაციო. ამათ რის იმედი აქვთ, არ ვიცი.

***– ადაძეს უცხოეთი აფინანსებს?***

– ალბათ. ჩვენ ხანდახან თბილისში ვერ მივდივართ, არ გვაქვს ამის საშუალება. ჩვენ მეჩეთის აშენება რომ გვდომოდა, ჩვენ თვითონ ავაშენებდით 1999-2003 წლებში, როცა ძალიან კარგი ყურძნის მოსავალი გვქონდა და დიდ თანხებსაც ვღებულობდით. 2004 წლის შემდეგ ჩაბარებული ყურძნის საფასური ზოგს არ აგვილია. სასამართლოებში გვატარეს, მოვიგეთ, მაგრამ მაინც არ აგვინაზღაურეს.

***– ის რამდენიმე კაცი თავის სახლში ვერ ილოცავს?***

– თავიანთ სახლებში ლოცვას მათ არავინ არ უშლის. რაც ეს აგორდა, სულ ველაპარაკები ორ ახალგაზრდას, რომელიც მათ დაჰყვებოდა. 35 და 40 წლის არიან. მათ ვუთხარი, აბა, დამისახელეთ ერთი ქვეყანა, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება არ დამკვიდრებულიყოს თავისი ნებით და არა ძალდატანებით. მულიმანური სარწმუნოება კი მახვილითა და ცეცხლით დამკვიდრდა-მეთქი. ძალიან დაფიქრდნენ ამაზე. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი თავის იქით ვერაფერს ხედავენ. ჩვენ ჭეშმარიტი ქართველები ვართ. ამ ხალხმა იცის, რომ საქართველო და საქრისტიანო დიდაჭარიდან წმინდა ნინოს გადმოსვლით დაიწყო და წამოვიდა.

***– ეს ახალგაზრდები ხომ არ დააინტერესეს მატერიალურად?***

– საუბედუროდ, ისე არ გვაქვს ცხოვრება მოწყობილი, რომ ამგვარი რამ გამოვრიცხო.


# ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი

**აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 4 წლის ვადით**

**1. ჰუმანიტარული მეცნიერებები:**

ა) ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:
**სრული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 3 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**
ბ) აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:
**სრული პროფესორი – ერთი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**
გ) საქართველოს ისტორიის მიმართულებით:
**სრული პროფესორი – 3 შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 4 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**

**2.პედაგოგიკა:**

ა) დაწყებითი განათლების მიმართულებით:
**სრული პროფესორი – ერთი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**

**3. კომპიუტერული ტექნოლოგიები:**

ა) კომპიუტინგი/ინფორმატიკის მიმართულებით:
**სრული პროფესორი – 3 შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 4 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი 2 შტატი;**

**4. სამართლის მიმართულებით:**

**სრული პროფესორი – ორი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**

**5. სოციალური მეცნიერებანი:**

ა) ეკონომიკის მიმართულებით:
**სრული პროფესორი – ერთი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**
ბ) ფინანსები მიმართულებით:
**სრული პროფესორი – ერთი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;**

**6. დიპლომირებული სტომატოლოგი:**

ა) სტომატოლოგიის მიმართულებით:
**მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;**
**ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;**
**ასისტენტ პროფესორი – 3 შტატი;**

## საკონკურსო პირობები

**1. კონკურსის ძირითადი პირობები:**

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

**2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:**

ა) გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) სამეცნიერო კონფერენციების სიმპოზიუმები/კონგრესები/ესიები) ორგანიზება მონაწილეობა;

გ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა.

დ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

**1. სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ ექვსი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ერთი ფოტოსურათი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) ავტობიოგრაფია (CV)

თ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ – გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

**2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ სამი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ერთი ფოტოსურათი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) ავტობიოგრაფია (CV)

თ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

**ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დოქტორანტურაში სწავლის შესახებ ცნობა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სადაც ის ითვლება დოქტორანტად;

ბ) ერთი ფოტოსურათი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი ასეთის არსებობის შემთხვევაში (სურველია);

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

**საბუთების მიღება დაიწყება 2013 წლის 7 ივლისიდან და იწარმოებს 2013 წლის 14 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ კვირის გარდა 10.00 სთ-დან 16 სთ-მდე; ქ. მარნეული, რუსთაველის №15.**

კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან 10 დღის ვადაში;

– კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

– პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) ანალიზი და შეფასება.

მეორე ეტაპზე მოხდება პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს ინტერვიურების სახით ტექნიკური საშუალებებით).

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე www.heydaruni.edu.ge კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნები და ხელშეკრულების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

დაინტერესებულმა პირებმა, აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის სალექციო კურსების ჩამონათვალი, შეგიძლიათ იხილოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.heydaruni.edu.ge ან მობრძანდეთ საკონკურსო კომისიის სამდივნოში – ქ. მარნეული, რუსთაველის №15.

# გელა კვაჭანტირაძე: „ვითარების გამწვავება რუსეთის ინტერესებშია“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***— მავთულხლართების და საოკუპაციო ზოლის გადმოწევა პროტესტს იწვევს ქართველებში. რას იტყვით ამ ქმედებებზე და რითი ხსნით ამის მიზეზს?***

— ჩვენ ვიცით, რომ არა მარტო საოკუპაციო ხაზზე, არამედ შიგნით, ოკუპირებულ ტერიტორიაზეც არა ერთი პროვოკაციაა მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. მან გადადგა პირველი ნაბიჯები სიტუაციის ნორმალიზებისკენ და რუსებს გამოაცალა პროპაგანდისტული მექანიზმი, რაც ბრალდებოდა წინა ხელისუფლებას, რომ შეუძლებელი იყო იმათთან მოლაპარაკება მათი ანტაგონისტური და არადიპლომატიური რიტორიკის გამო. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ახალი ხელისუფლება პირველ ნაბიჯებს დგამს სიტუაციის ნორმალიზებისკენ. როცა დაიწყო მოლაპარაკებები პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით რუსებთან, რუსეთის ინტერესებში არ არის ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება, არამედ ფუნდამენტურ საკითხებში ურთიერთობის გარკვევა საქართველოსთან ანუ მათი ძირითადი მიზანი, რასაც აცხადებს კიდეც მათი იდეოლოგი ალექსანდრე დუგინი, არის ახალი ევრაზიული კავშირის შექმნა და რომ როგორმე უნდათ საქართველო იძულებით შეიყვანონ ამ კავშირში. იმ ვითარებაში, როცა ახალი ხელისუფლება ცდილობს განამტკიცოს დასავლური კურსი, იმის დროს არ გვაძლევენ, რომ ამ ფონზე წინ წავიდეთ. რუსებს უნდათ საქართველომ აჩვენოს მას, რომ მზად არის კომპრომისებისთვის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კარასინმა განაცხადა, რომ ეს არ არის ინციდენტები ლოკალურ დონეზე, არამედ საოკუპაციო ხაზთან რკინაბეტონის დამონტაჟების ბრძანება მიცემული აქვს რუსეთის ხელისუფლებას. ეს რუსული გლობალური პოლიტიკის ნაწილია. ელიან ჩვენგან სერიოზულ დათმობებს. ქართულ სახელმწიფოს დღეს არა აქვს ისეთი მექანიზმები, რომ აღკვეთოს რუსების თარეში ამ საოკუპაციო ზოლთან იმიტომ, რომ ჩვენი იურისდიქცია, სამწუხაროდ, იქ არ ვრცელდება. ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ საერთაშორისო მექანიზმები რეაგირებისთვის.

***— ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ახალმა ხელისუფლებამ ხმამაღალი განცხადებები მკვეთრად კი არ უნდა გააკეთოს, არამედ კულუარებში იმუშაოს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— პოლიტიკა კეთდება არა მხოლოდ განცხადებების დონზე, არამედ კულუარებშიც. საკითხავია, რა ხდება რეალურად და რა ნაბიჯებია გადასადგმელი. ჩემი აზრით, რა ნაბიჯებიც იდგმება ახალი ხელისუფლების მხრიდან, აბსოლუტურად სწორია. რუსეთთან მცირედი დათმობაც კი გამოიწვევს უფრო დიდ მოთხოვნას მათი მხრიდან. ერთადერთია დასავლეთის დახმარება, აშშ-ს, ევროპის დახმარება და მხარდაჭერა, ნატოს გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი აპატურაი ჩამოვიდა, ელჩებთან მოხდა შეხვედრა, საერთაშორისო დელეგაციები მივლენ საოკუპაციო ზოლთან, ესეც დაგეგმილია, დააკვირდებიან პროცესებს. რუსეთთან პირისპირ თუ დავრჩებით, პრობლემის გადაწყვეტის არანაირი შანსი არ გვექნება.



***— ნანა დევდარიანმა განაცხადა ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში, ახალ ხელისუფლებას არ უნდა ამის მწვავედ დაფიქსირება იმიტომ, რომ ეს ხდება უკანონო საზღვარზე, ეს ტერიტორიები ისედაც ოკუპირებულია და არ ცდილობს დააფიქსიროს, რომ იქ არის რაღაც საზღვარი.***

— მე არ მომისმენია ეს, მაგრამ მწვავედ რეაგირება რუსეთის ინტერესებშია, რომ პროვოცირება გაუკეთოს ამ პროცესებს და უკვე ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ახალი ომია მოსალოდნელი. რუსეთის ინტერესებშია სიტუაციის გამწვავება. ჩვენი მიზანია დიპლომატიურად საერთაშორისო სტრუქტურებში ჩვენ შევძლოთ ადეკვატური რეაგირება და არა ის, რომ მუშტები ვიქნიოთ.

***— ნანა დევდარიანმა მუშტების ქნევა კი არ მოითხოვა, არამედ, როგორც მე გავიგე, განაცხადა, რომ სწორად მიდის პროცესი მოქმედი ხელისუფლებისგან.***

— არ ვიცი მისი განცხადება, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ სიტუაციის გამწვავებას მოერიდა ხელისუფლება და ამას არ ამართლებს, ეს არის ჩემთვის მიუღებელი.

***— პაატა ზაქარეიშვილის აზრით, არის იმის მინიშნება რუსეთისგან, რომ საქართველომ უფრო მალე დაიწყოს დიალოგი რუსეთთან და იაქტიუროს. როგორია თქვენი აზრი?***

— არა მხოლოდ დიალოგის დაწყებას ითხოვს, ეს დიალოგი დაწყებულია ზურაბ აბაშიძის მხრიდან და ასევე ჟენევის ფორმატი ფუნქციონირებს. საუბარია, რომ ამ ფორმატში უფრო კონკრეტულ დათმობებს ითხოვენ.

***— რუსეთში საქართველოს საელჩოს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი გივი შუღაროვი ჰყავდა თამარ ჩიქოვანს ეთერში, მან განაცხადა, რომ რუსეთი დაბალანსებას კი არ ითხოვს, არამედ მტკიცე პოზიციას, ვართ მასთან თუ ვართ დასავლეთთან. ე.წ. ბალანსი რუსეთს არ აინტერესებს, ამის მაგალითი იყო შევარდნაძის დროს რუსეთის ქმედებები ჩვენს საზღვარზე, მაშინაც შევარდნაძე ცდილობდა დაბალანსებას. ბიძინა ივანიშვილმა, მოვიდა თუ არა პოლიტიკაში, დაბალანსებაზე დაიწყო საუბარი. როგორი უნდა იყოს ქართული დიპლომატიის სწორი გეზი?***

— დიდ პატივს ვცემ ბატონ გივის, პატრიოტი და გამოცდილი კაცია, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლება მიმართავს დაბალანსების პოლიტიკას. რუსეთი ხისტად უყურებს და ასე აყენებს საკითხს: ან ხართ ჩვენთან, ან ხართ ჩვენი მტერი. დუგინის კონცეფციაც ამაზე მეტყველებს. საქართველოს გასარკვევი არაფერი აქვს, მას მკაფიოდ აქვს გამოხატული დასავლური კურსი განმტკიცებული დეკლარაციებით და ხელშეკრულებებით. ჩვენ პრინციპები არ უნდა დავთმოთ, მაგრამ ხისტი დიპლომატია არ უნდა გვქონდეს, ანუ არავინ არ უნდა ვლანძღოთ. რუსეთის მიმართ შეურაცხმყოფელი რიტორიკა წინა ხელისუფლების მხრიდან ხშირად გაისმოდა, პრეზიდენტი სააკაშვილი აკეთებდა მოუზომელ განცხადებებს და უამრავი უბედურება დაგვატყდა თავს ამის გამო, ყველაზე ნათელი მაგალითი ამისა იყო 2008 წლის ომი რუსეთთან.

***— წინასაარჩევნო კამპანიის დროს ივანიშვილის პროგრამის დებულება იყო, რომ საქართველოს დასავლური კურსი ურყევია, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან. არის ალბათ ბალანსისკენ სწრაფვა, მაგრამ ეს არ არის ეფექტური იმიტომ, რომ რუსეთი სწორედ მის გვერდით დგომას გვთხოვს.***

— ის რაც განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მაშინ, ეს არის სწორი დიპლომატიური ენა. პრობლემა ის კი არ არის, რომ არასწორი საგარეო პოლიტიკა გვაქვს, არამედ პრობლემა არის თავად რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. როცა ცივილიზებულ სამყაროში უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფო აყენებს საკითხს, რომ სუვერენული სახელმწიფო მიიტაცოს და გავლენის სფეროში მოაქციოს, და ამბობს, რომ ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია, ეს არის პრობლემა არა მხოლოდ საქართველოსი, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსი. მარტო არ ვართ ამ ბრძოლაში და გვყავს ბევრი ძლიერი მოკავშირე.

***— რატომ არ აქტიურობს საგარეო კუთხით ივანიშვილი და არ დადის ვიზიტებით, მას არ გააჩნია ამის სურვილი თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს არაეფექტურად?***

— ივანიშვილის ოფიციალურ ვიზიტებს რომ გადავხედოთ, გამოიკვეთა, რომ ივანიშვილი ოფიციალურ ვიზიტად არ ყოფილა ჯერ აშშ-ში, არ ყოფილა რუსეთში, მაგრამ იყო ევროსტრუქტურებში, ბრიუსელში, ეს იყო წარმატებული შეხვედრები. როცა ადამიანი ვიზიტით მიდის რუსეთში ან ამერიკაში, მას წინასწარ მომზადებული საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამის მიზეზი ჯერ კიდევ ორხელისუფლებიანობაა საქართველოში, ცალსახად გარესამყარო საქართველოს ვერ აღიქვამს, თუმცა ვხედავთ, რომ პრეზიდენტი სულ სხვა პოლიტიკას ატარებს, ახალი კი მისგან განსხვავებულ აქცენტებს და ტაქტიკას ირჩევს. შესაძლოა მართლაც საგარეო სამინისტრო მთლად მოწოდების სიმაღლეზე ვერ არის, მე პირადად მეტს მოვითხოვ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. ვიცით, რომ ნდობის დიდი ვოტუმი ჰქონდა წინა ხელისუფლებას, მათ შორის, ამერიკის ადმინისტრაციისგან, ისინი აგრძელებენ ამ ლობისტურ საქმიანობას და დივერსიულ ნაბიჯებს დგამენ. ხშირად ეს მტკივნეულად მოქმედებს საქართველოს იმიჯზე. ეს დასრულდება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

***— ნაცმოძრაობამ ატეხა განგაში იმ ფაქტების გამო, რაც ხდება საოკუპაციო ზოლთან. სააკაშვილმა შესთავაზა ქართულ ოცნებას უშიშროების საბჭოს მოწვევა. გასაგებია, რატომაც, ბოკერია, სააკაშვილი და საპარლამენტო ოპოზიცია გაკიცხავენ ახალ მთავრობას და დაადანაშაულებენ უმოქმედობაში. ეს უშიშროების სხდომა ამათ უფრო პიარშოუსთვის სჭირდებათ. ამის შესახებ უკვე გამოითქვა ეჭვი რამდენიმე ექსპერტის მხრიდან. თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?***

— ეს არის მორიგი პიართემის აგორების მცდელობა წინა ხელისუფლების მხრიდან. ის ყიჟინა რომელიც გაისმის ნაცმოძრაობისგან და რადიკალური ფსევდოპატრიოტული ძალებისგან, რომ რატომ არ აღკვეთავს ამ პროვოკაციას ახალი ხელისუფლება, ეს არის მცდელობა, რომ ახალ ხელისუფლებას უბიძგოს რუსეთის მიმართ რადიკალური ქმედებებისკენ. თუ ახალი ხელისუფლება გამოიჩენს სისუსტეს და წამოეგება ამ ანკესზე, ეს გაამწვავებს ურთიერთობას და პრობლემას კი არ გადაწყვეტს, ახალი ხელისუფლება გაიმეორებს იმ ტაქტიკას საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ჰქონდა სააკაშვილს. ევროპელი პოლიტიკოსები გვირჩევდნენ, რომ უფრო მოზომილი ვყოფილიყავით რუსეთთან. ამ საქმეს ზედმეტი დრამატიზება არ სჭირდება, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსებს სამასი მეტრი კი არა, არამედ 20%-ზე მეტი აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიების. უშიშროების საბჭო ერთხელაც კი არ მოიწვია ამ შვიდი თვის მანძილზე სააკაშვილმა. საპიარო თემა გამოელიათ და ახლა მოინდომეს ამ მექანიზმის ამოქმედება.

***— ონიშენკოსთან დიალოგი დაიწყო, როგორც კი საუბარი იყო რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანაზე, მაგრამ ახლა ონიშენკო ბევრ მკვახე განცხადებას აკეთებს, მაგალითად, თურმე ქართული ბორჯომი უვარგისია და საბჭოთა ბორჯომი სჯობდა, მან თქვა, რომ ქართველები ყურძენს არ უფრთხილდებიან და ჩვენი ღვინო არ ვარგა, ციტრუსები თქვენ არ გაქვთ და ქინძი ჩვენთანაც კარგად მოგვყავსო. ახლახან კი ბიოტერორიზმში დაადანაშაულა საქართველო და ღორის აფრიკული ჭირის გავრცელებაში დაგვდო ბრალი. რას ნიშნავს ეს პოლიტიკა?***

— დიახ, პოზიცია შეცვალა და ეს თვალშისაცემია, შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა. ეს იმის ნიშანია, რომ ეს არ არის ლოკალური ინციდენტი საოკუპაციო ხაზთან, ეს არის რუსეთის გლობალური პოლიტიკის გამოხატულება და ჩანაფიქრი. რუსეთს უნდა ავირჩიოთ ან დასავლეთი, ან რუსეთი. თუ ამაში ჩვენ არ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რუსეთი წავა გამწვავებაზე. ჩვენ უნდა დავანახოთ რუსეთს, რომ ეს ხრიკები მიზანს ვერ მიაღწევს, და ჩვენ არ გადავუხვევთ დასავლური კურსიდან. ეს არის ჩვენი საუკუნეობრივი სურვილი და ამაზე უარს არ ვიტყვით. ონიშენკო არის პატარა ჭანჭიკი ამ გლობალური პოლიტიკის.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები


● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# ჟოზე მოურინიო: „ჩელსის რიგითი ჯარისკაცი ვარ“

მადრიდის „რეალიდან“ აბარგებული ჟოზე მოურინიო ლონდონს ეწვია – პორტუგალიელმა 4-წლიან კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა.

50 წლის ჟოზე 6 წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა „ჩელსიში“, რომელთან ერთადაც მან ორჯერ მოახერხა ინგლისის პრემიერლიგის მოგება, ორჯერ გახდა ლიგის თასის მფლობელი, ერთხელ „ლურჯებს“ ინგლისის თასი მოაგებინა და ეს ყველა ტიტული „ჩელსიმ“ 2004-2007 წლებში მოიპოვა.

უკვე ცნობილია, რომ მოურინიოს ყველაზე მეტად თავდასხმის ხაზის გაძლიერება სურს. „ჩელსიში“ რადამელ ფალკაოსა და ედინსონ კავანის გადაბირებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ეს ტრანსფერები არ შედგა. სამაგიეროდ, გამორჩეულს უკვე ჰყავს თავისი კანდიდატურები – ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი) და სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა).

თავდასხმის გარდა, ლაპარაკია „ბენფიკადან“ ნახევარმცველ ნემანია მატიჩისა და „პორტუდან“ მცველ ელიაკიმ მანგალას შეძენაზეც.

ლონდონელებს „ლევერკუზენიდან“ ანდრე შიურლეს ტრანსფერიც გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ ჯერ უცნობია, რას იტყვის მოურინიო. თუკი ის არ ინდომებს, 22 წლის ფეხბურთელი ან გერმანიაში დარჩება, ანაც სხვა კლუბის ძებნა მოუწევს.

სანამ ჟოზე შიურლეს გადაბირება-განაწყენებაზე რამეს გადაწყვეტს, უკვე გაანაწყენა ლონდონელთა მეკარე პეტერ ჩეხი. საქმე ის არის, რომ მოურინიოს სამწვრთნელო შტაბის შეცვლა სურს და გამშვებთა შორის არის მეკარეთა მწვრთნელი სილვიო ლოუროც.

„ჩელსის“ მეკარესა და გუნდის ახალ მწვრთნელს შორის ამის გამო, შესაძლოა, სერიოზული კონფლიქტი მოხდეს.

თუმცა ჩეხის განაწყენება სულაც არ ადარდებს კლუბის აღმასრულებელ დირექტორ რონ გურლეის.

– მოხარული ვარ ჟოზეს „ჩელსიში“ დაბრუნებით. ჩვენს კლუბს ძალიან სურს წინსვლა და იმისათვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ, სწორედ ამიტომ შევაჩერეთ არჩევანი მოურინიოზე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ სწორედ ის გახლავთ ისეთი მენეჯერი, რომელსაც ამის გაკეთება შეუძლია. ის იყო და რჩება პოპულარულ ფიგურად კლუბში და ყველას მასთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და კვლავ წარმატების მიღწევის იმედი გვაქვს.



არც მოურინიო დარდობს მისი და მომავალი შეგირდების ურთიერთობაზე. პორტუგალიელის ინტერვიუ უკვე გამოქვეყნდა კლუბის ვებგვერდზე.

***– არც ერთ კლუბში 3 სეზონზე დიდხანს არ გაჩერებულხართ. აპირებთ ამჯერად ამ ტრადიციის დარღვევას?***

– იმედი მაქვს, ასე იქნება. პირდაპირ გეტყვით, რომ „ჩელსიში“ თავს მხოლოდ მწვრთნელად არ ვთვლი. ეს კლუბი ძალიან მიყვარს – მწვრთნელი და გულშემატკივარი ერთდროულად ვარ.

***– გუნდი რა მდგომარეობაში დაგხვდათ?***

– მხოლოდ 4-5 ფეხბურთელი, რომელიც ჩემი პირველი მუშაობისას თამაშობდნენ. ჩემთვის მათი ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ბალანსი შევინარჩუნო, მთლიანობაში კი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი დამხვდა. ჩემი მიზანია, ისინი მაღალ დონეზე სტაბილურად ვათამაშო.

***– ამბობენ, მადრიდის „რეალში“ მოღვაწეობის ბოლო პერიოდში თქვენი სახიდან ღიმილი გაქრა. „ჩელსიში“ დაბრუნებით ბედნიერი ხართ?***

– ვცდილობ, ემოცია ნაკლებად გამოვხატო, მაგრამ ვერ ვმალავ სიამაყისა და ბედნიერების გრძნობას. აქ კიდევ ერთხელ ვიგრძენი გულშემატკივრების სიყვარული, მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს კლუბის მეპატრონესთან. ამასთან, ეს ურთიერთობა არა მხოლოდ პროფესიული, არამედ პირადულიც არის.

***– პრემიერლიგის 3 წამყვან გუნდს მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. როგორ ფიქრობთ, ახალი სეზონი უფრო საინტერესო იქნება?***

– პრემიერლიგა ისედაც გამორჩეული საფეხბურთო ტურნირია. ბოლო დროს საუბრობენ, თითქოს ადრინდელთან შედარებით ოდნავ დასუსტდა. ამის არგუმენტებად კი, კლუბების მიერ ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად გამოთიშვა მოჰყავთ. პირადად, ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმები. პირიქით, ბოლო დროს პრემიერლიგაში კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა. 2004 წელს, როდესაც „სტემფორდ ბრიჯზე“ პირველად მივედი „ჩელსი“, „მანჩესტერი“ და „არსენალი“ უკონკურენციონი იყვნენ, დღეს კი სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა – ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად 5-6 გუნდი იბრძვის. აქედან გამომდინარე, მომავალი პრემიერლიგა საინტერესოდ ჩაივლის, „ჩელსი“ კი პირველობისთვის მებრძოლი კონკურენტუნარიანი გუნდი იქნება.

***– ინგლისელ გულშემატკივრებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს საშინაო ჩემპიონატისადმი. „ჩელსისთვის“ პრიორიტეტული პრემიერლიგის მოგება იქნება?***

– უმთავრესი გუნდის შემდგომი განვითარებაა. ამ სიტყვაში მხოლოდ ფინანსურ ინვესტიციას არ ვგულისხმობ. უფრო მეტად მნიშვნელოვანი თამაშის გაუმჯობესება და ფეხბურთელთა პროფესიული ზრდაა. თუკი ამას 2-3 სათანადო ტრანსფერი დაემატება, უფრო უკეთესი იქნება. პრიორიტეტს რაც შეეხება, ჩვენი უმთავრესი ამოცანა ყოველი შემდგომი მატჩის მოგებაა. შეხვედრებს საჩემპიონატო და სათასო კატეგორიებად არ დავყოფთ. კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ედენ აზარის, დავიდ ლუისის, ოსკარის ასაკის გათვალისწინებით, ჩემთვის მათთან მუშაობა სასარგებლო იქნება, ისევე, როგორც ამ ფეხბურთელებისთვის ჩემთან ურთიერთობა.

***– აგვისტოს ბოლოს კიდევ ერთხელ შეხვდებით პეპ გვარდიოლას.***

– ეს ჩემი და გვარდიოლას დაპირისპირება კი არა, ევროპის სუპერთასის მატჩი იქნება „ჩელსისა“ და „ბაიერნს“ შორის. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რათა ჩემმა გუნდმა კიდევ ერთი ტიტული მოიგოს. მანამდე წინასასეზონო მზადება უნდა გავიაროთ. ჩვენ გვაქვს ვალდებულება, ტურნე ჩავატაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზიის ქვეყნებში. წინ საინტერესო პერიოდი გველის, მთავარი კი მიზანმიმართულად ჩასატარებელი საწვრთნელი პროცესია. დიდი მოცულობის სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი.

***– 9 წლის წინათ „ჩელსის“ გულშემატკივრებს გულშემატკივარს მონდომებულ მუშაობას, გუნდის ახალ სიმაღლეზე აყვანას დაჰპირდით. ამჯერად რას ეტყვით ქომაგებს?***

– კარიერის განმავლობაში 2 საყვარელი გუნდი მყავდა – „ინტერი“ და „ჩელსი“. გუნდი „ჩელსის“ წინააღმდეგ სათამაშოდაც გამიყვანია და მერწმუნეთ, თავს ძალიან უხერხულად და ცუდად ვგრძნობდი. დაპირებას რაც შეეხება, იმავეს გავიმეორებ და დავამატებ – სხვებთან ერთად „ჩელსის“ რიგითი ჯარისკაცი ვარ.

# ნეიმარი ბარსელონაში ჩავიდა

– საღამო მშვიდობისა. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „ბარსელონას“ ფეხბურთელი გავხდი. ეს ძალიან ემოციური დღეა. აღფრთოვანებული ვარ იმის გამო, რომ ასეთ დიად კლუბში ჩავირიცხე. დღეს მე ოცნება ავისრულე. მსურს, „ბარსელონას“ და მესის დავეხმარო იმაში, რომ ისინი მსოფლიოში კვლავ საუკეთესონი იყვნენ. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც მესისთან ერთად ვითამაშებ.

ეს სიტყვები „ნოუ კამპზე“ „ბარსელონას“ ახალწვეულმა, ბრაზილიელმა ამომავალმა ვარსკვლავმა ნეიმარმა მის პრეზენტაციაზე წარმოთქვა.

სტადიონზე შეკრებილი ქომაგები დღის გმირს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. ბრაზილიელი ფეხბურთელი ბარსელონაში ჩავიდა და უმალ სამედიცინო შემოწმების გასავლელად გაემგზავრა. ამის შემდეგ კი 21 წლის ბრაზილიელი კატალონიელი გულშემატკივრის წინაშე წარდგა და პუბლიკამ „ბარსელონას“ ჰიმნის ფონზე ბრაზილიელის გვარის სკანდირება დაიწყო. ამას ტრადიციული რიტუალები: ბურთის აკენწვლა, ფოტოკორესპონდენტების წინაშე პოზირება და მცირე ინტერვიუ მოჰყვა.

პრეზენტაციამდე, ბრაზილიელის ტრანსფერზე საკუთარი მოსაზრება ძალიან ბევრმა ადამიანმა დააფიქსირა. მათ შორის იყო ანდრეს ინიესტაც:

– საუკეთესო ფეხბურთელები ერთმანეთს ყოველთვის კარგად უგებენ. ლეო ნეიმარზე უკეთესი იქნება, ნეიმარი – ლეოზე. ნეიმარი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერია, ის „ბარსელონას“ გააძლიერებს და, ვფიქრობ, ჩვენი კლუბისთვის იდეალური შენაძენია.

„ბარსელონას“ ისტორიაში, ყველაზე მეტი გულშემატკივარი ზლატან იბრაჰიმოვიჩის პრეზენტაციას დაესწრო – 2009 წელს „ნოუ კამპზე“ 50.000-მდე ადამიანი მივიდა.

პრესაში ვარაუდობდნენ, რომ ნეიმარის წარდგენა ამ რეკორდს დაამხობდა და პირველადი მონაცემებით ვარაუდი გამართლდა – ბრაზილიელის სანახავად „ნოუ კამპზე“ 60.000-მდე გულშემატკივარი იყო, თუმცა, ზოგიერთი წყაროს ცნობით, სტადიონზე 40.000-მდე ქომაგი იმყოფებოდა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ნეიმარი ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა, სადაც ნაკრებთან ერთად ამხანაგური მატჩისთვის (9 ივნისს, საფრანგეთთან) და კონფედერაციის თასისთვის მოემზადება.

# შერმადინი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალშია

გიორგი შერმადინი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალშია. ქართველი ცენტრის გუნდმა „ოლიმპიაკოსმა“ ნახევარფინალური სერიის მე-3 მატჩშიც, ამჯერად სტუმრად დაამარცხა „აგორი“ და საჩემპიონო სერიაში გავიდა. პირეოსელებს არც ამჯერად გასჭირვებიათ – „ოლიმპიაკოსმა“ მეტოქე 80:67 დაამარცხა.

შერმადინმა მოედანზე 8 წუთი და 22 წამი გაატარა და პირეოსელებს 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა. შერმადინმა 1 ორქულიანი ააცილა, ხოლო 4 ცდიდან 2 საჯარიმო ჩააგდო. პირეოსელთაგან 15 ქულით, 10 პასით და 5 მოხსნით საუკეთესო ვასილის სპანულისი გახლდათ.

ფინალში ოლიმპიაკოსელთა მეტოქე „პანათინაიკოსი“ იქნება, რომელმაც ასევე 3:0 დაამარცხა „პანიონიოსი“. საჩემპიონო სერია 3 გამარჯვებამდეა და იგი 6 ივნისს დაიწყება.

ფინალში გასასვლელად ცხარე ბრძოლები ელის ვიქტორ სანიკიძის „სიენას“, რომელსაც ბოლო მატჩში ქართველი კალათბურთელის ორმაგმა დუბლმაც ვერ უშველა. ნახევარფინალურ სერიაში ქართველი ფორვარდს თანაგუნდელებმა სათანადოდ ვერ აუბეს მხარი და „სიენამ“ სერიის მე-5 მატჩი 67:71 წააგო.

შესაბამისად, „სიენას“ ფინალში გასვლა გადაიდო. სანიკიძის გუნდი სერიას 3:1 იგებდა და წარმატების მისაღწევად 1 მოგება აკლდა, თუმცა „ვარეზემ“, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატი მოიგო, მოახერხა გამარჯვება და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. წინ მე-6 მატჩია, რომელსაც „სიენა“ მასპინძლობს. სანიკიძის გუნდი გამარჯვების მოპოვებას და ფინალში გასვლას შეეცდება – წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს გაირთულებს.

სანიკიძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე კი 22 წუთით გამოჩნდა და სიენელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ქართველმა ფორვარდმა 10 ქულა, 11 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა, ბურთიც სამჯერ დაკარგა. ვიქტორმა 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. სანიკიძეზე შედეგიანი სიენელთაგან მხოლოდ ბობი ბრაუნი გახლდათ, რომელმაც 32 წუთში 25 ქულა დააგროვა.

სერიის მე-6 შეხვედრა სიენაში 5 ივნისს გაიმართება. თუ სიენელები მოიგებენ, ფინალში გავლენ, არადა, სერიის მე-7, გადამწყვეტ შეხვედრას „ვარეზე“ 7 ივნისს უმასპინძლებს.

# ქართველი 17-წლამდელები კასპიის თასზე მესამე ადგილისთვის ითამაშებენ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბაქოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ნახევარფინალური შეხვედრა გამართა მასპინძელთა გუნდთან. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა, პენალტები კი აზერბაიჯანელმა 17-წლამდელებმა უკეთ შეასრულეს – 5:4.

ერთი წლის წინ კასპიის თასის გათამაშებაში საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა იასპარეზა. მაშინ ჩვენმა გუნდმა ფინალში სწორედ აზერბაიჯანელები დაამარცხა 1:0.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ნოდარ აკობიას გუნდი იაპონიას გაეჯიბრება, რომელიც ნახევარფინალში თურქეთთან 0:1 დამარცხდა. შარშან ქართველმა 16-წლამდელებმა იაპონელ თანატოლებს 6:3 მოუგეს.

# მარკაში მულე და ტორპედო ახსენეს

პოპულარულმა ესპანურმა გამოცემა „მარკამ“ ჟერარდ სარაგოსა მულეს ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცად დანიშვნას სტატია მიუძღვნა, რომელშიც ძირითადად საუბარია მწვრთნელის საქართველოში დამკვიდრებასა და მომავალ კარიერაზე.

– ჟერარდი თბილისში ჩასვლიდან შვიდ თვეში ქართული საფეხბურთო სამყაროს აღმოჩენა გახდა. მისმა გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა“ 15-მატჩიანი წაუგებელი სერია მოაწყო (აქედან 12 მოიგო) და პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გავიდა. იგი ერთადერთი ქართული გუნდია, რომელსაც 2013 წელს მარცხი არ განუცდია. სარაგოსას ქუთაისში ნიჭიერი ფეხბურთელებიც მიჰყვებიან, მათ შორის ის 17-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეები, რომლებმაც შარშან ელიტრაუნდის ჯგუფში ესპანეთი და ინგლისი ჩატოვეს, – წერია სტატიაში.

**ჟერარდ სარაგოსა მულე:**

– როცა „ესპანიოლთან“ დადებულ ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა, გადავწყვიტე, ალბერტო ბერიკალს გავყოლოდი, რომელმაც ფიზმომზადების მწვრთნელად თბილისის „ლოკომოტივთან“ გააფორმა კონტრაქტი. გავრისკე და საქართველოში ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ჩამოვედი, თუმცა ამან გაამართლა და ყველაფერი კარგად აეწყო. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ჩემი პროექტი მოიწონა და გასული წლის სექტემბერში შევუდექი კლუბში მუშაობას. ქუთაისის „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ უკვე მეგობრები არიან. გუნდების პრეზიდენტთა იდეაა, რომ „ტორპედო“ საუკეთესო პერსპექტიული მოთამაშეებით დაკომპლექტდეს. ძალიან მოხარული ვარ ლექსო თოფურიასი, რომელიც მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა ამ ორი კლუბის შერწყმას თუ მთავარი მწვრთნელი მე ვიქნებოდი. ევროასპარეზზე გამოსვლა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ბოლო წლებში რამდენიმე ქართული გუნდი ახლოს იყო ჯგუფურ ეტაპამდე, მაგრამ საბოლოოდ იქამდე მიღწევა ვერ მოახერხეს. ახლა კი ჩვენ შევეცდებით ამის გაკეთებას გუნდით, რომლის ბირთვში ქართველი ახალგაზრდებია და მათი საშუალო ასაკი 21 წელი იქნება.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

შვედეთი-მაკედონია ..................... 1:0
ესტონეთი-ბელარუსი ................... 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

**პლეი აუტი**

ნალჩიკი-კრ.სოვეტოვი ................. 2:5

**ნალჩიკელთა ორივე ბურთი დავით სირაძემ გაიტანა**

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ოლ ბოიზი-ოლდ ბოიზი ................ 2:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფი**

მაიამი-ინდიანა ........................... 99:76

**სერიის ანგარიში: 4:3**

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

ჯოკოვიჩი-კოლშრაიბერი ... 4:6;6:3;6:4;6:4
ვავრინკა-გასკე ...... 6:7;4:6;6:4;7:5;8:6
ნადალი-ნიშიკორი .............. 6:4;6:1;6:3

**ქალები**

კირილენკო-მატეკი ................. 7:5;6:4
შარაპოვა-სტივენსი ................ 6:4;6:3
იანკოვიჩი-ჰამტონი ................. 6:0;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი**

პიტსბურგი-ბოსტონი ................... 1:6

**სერიის ანგარიში: 0:2**

# ბაპტისტაო მადრიდშია, გომესს ნეაპოლში ელიან

1 ივნისიდან სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა და კლუბები უკვე გაძლიერებაზე ფიქრობენ. ზოგმა უკვე გააფორმა მისთვის სასურველი ფეხბურთელი, ზოგიც – ძიებაშია. ზოგსაც რომელიმე კლუბში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

„ატლეტიკოსა“ და „რაიოს“ ხელმძღვანელობამ ბრაზილიელი ლეო ბაპტისტაოს მადრიდულ კლუბში გადასვლის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. 20 წლის თავდამსხმელმა 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ასპარეზობას „ატლეტიკოს“ მაისურით გააგრძელებს.

„ლა გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით „იუვენტუსი“ მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელით, გონსალო იგუაინითაა დაინტერესებული. იტალიური გუნდი მზადაა, ესპანელებს იგუაინში 22 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუმცა „თეთრების“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი მოთამაშეში 30 მილიონს ითხოვს.

არგენტინელმა თავდამსხმელმა პრესაში უკვე გამოთქვა სურვილი გუნდის დატოვების შესახებ. ასე რომ, თუ მოლაპარაკებები შედგა, იგუაინმა შესაძლოა მოღვაწეობა „იუვენტუსში“ გააგრძელოს.

გერმანიის თასის ფინალი, სადაც „ბაიერნის“ თავდამსხმელმა მარიო გომესმა დუბლი შეასრულა, შესაძლოა, 27 წლის თავდამსხმელისთვის ბოლო შეხვედრა აღმოჩნდეს რეკორდმაისტერის შემადგენლობაში. როგორც ავტორიტეტული გამოცემა „ბილდი“ წერს, გომესი მატჩის დასრულების შემდეგ, გასახდელში შესულა და ბიჭებისთვის უთქვამს – ეს ჩემი ბოლო მატჩია „ბაიერნის“ შემადგენლობაში.

როგორც გერმანული მედია წერს, გომესის შემდეგი კლუბი „ნაპოლი“ იქნება. გომესის აგენტი ული ფერბერი გასულ კვირაში არაერთხელ შეხვდა იტალიური კლუბის წარმომადგენლებს კონტრაქტის შესათანხმებლად.

საინტერესოა, რომ მიუნხენური გრანდის სპორტული დირექტორის მატიას ზამერის მტკიცებით, გომესი კლუბში რჩება – კონტრაქტი კი 2016 წლამდე აქვს.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის „შტუტგარტის“ აღზრდილი ფეხბურთელი „ბაიერნში“ 2009 წლიდან ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში 174 მატჩი ჩაატარა და 113 გოლი გაიტანა, გერმანიის ნაკრებში კი – 58 შეხვედრა და 25 გოლი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შავი ზღვის ჯაზფესტივალს ელ ჯერო გახსნის

ეკა ირემაშვილი

წელს „შავი ზღვის ჯაზფესტივალს“, რომელსაც უკვე მეშვიდედ კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ წარმოადგენს, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსი ელ ჯერო გახსნის და ლა როშელ ბენდი დახურავს. კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორის მიშა გიორგაძის თქმით, ფესტივალი მონაწილეების მხრივაც შემცირებულია და საკონცერტო დღეებითაც.



წელს ფესტივალი ერთი კვირის ნაცვლად ოთხი დღე გაგრძელდება. საგანგებო პრესკონფერენციაზე კომპანიის წარმომადგენლებმა წლევანდელი ჯაზფესტივალის მონაწილეთა ვინაობა გაახმოვანეს.

ელ ჯერო, მაიკ სტერნი, კარმენ სოუზა და ჯოს ჯაიმსი – მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები ბათუმს 18-21 ივლისს ესტუმრებიან.

– 18-დან 21 ივლისის ჩათვლით ფესტივალი მსოფლიოში აღიარებულ შემსრულებლებს უმასპინძლებს. კონცერტები, ტრადიციულად, ბათუმის კორტებზე და „თეიქ ფაივში“ გაიმართება. „შავი ზღვის ჯაზფესტივალი“ წელს უკვე მეშვიდედ ჩატარდება. ფესტივალს ჯაზის ლეგენდა, 8 გრემის მფლობელი ელ ჯერო გახსნის. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უარი თქვა ჯაზფესტივალის დაფინანსებაზე, ამიტომაც წელს ფესტივალი განახევრებული ბიუჯეტით გაიმართება, – აღნიშნა მიშა გიორგაძემ.

მისივე თქმით, წელს ფესტივალის ორგანიზატორებს ერიკ კლეპტონისა და ნატალი კოლის ჩამოყვანა სურდათ, თუმცა შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო ეს შეუძლებელი გახდა.

– ბიუჯეტის სიმცირის გამო ფესტივალი, რომელიც 7 დღე გრძელდებოდა, წელს მხოლოდ 4 დღე გასტანს. ჩვენ კულტურის სამინისტროს მხადაჭერის არქონის გამო უარი ვთქვით ფესტივალის დღეებში უფასო წარმოდგენებზე, ქუჩაში მოწყობილ კონცერტებზე. ელ ჯერომ თავისი ჰონორარის 35-40% მოგვთხოვა მხოლოდ, რათა ფესტივალისთვის ამ სახით დაეჭირა მხარი. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად გულშემატკივრობენ ქვეყნის გარეთ ამ ბრენდს, – განმარტა ფესტივალის დირექტორმა.

ფესტივალის დამფინანსებელი კვლავ თიბისი ბანკია.

– თიბისი სტატუსმა თბილისის ჯაზფესტივალისთვის განკუთვნილი თანხები შავი ზღვის ჯაზფესტივალისთვის გამოჰყო. პრაიმ ქარდს და სტატუს ქარდს 15-20%-მდე ფასდაკლება ექნება. პრაიმ ქარდს აქვს ნულპროცენტიანი განვადება და ჯაზის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ ბილეთის ფასი საკრედიტო ლიმიტის საშუალებით ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ. ამის გარდა, შავი ზღვის ფესტივალზე დასწრების მსურველებს ბილეთების შეძენა განვადებითაც შეეძლებათ. განვადება ბილეთების გარდა სასტუმროების საფასურზეც გავრცელდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ფესტივალზე დასწრება შეძლოს ყველა ადამიანმა, ხოლო სტატუს კლიენტების შემთხვევაში ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მიიღონ დამატებითი უპირატესობები, – აღნიშნა თიბისი სტატუსის დირექტორმა მადონა წულაიამ.

მიუხედავად საფესტივალო ბიუჯეტის სიმცირისა, მისმა ორგანიზატორებმა შეძლეს, რომ ამას ბილეთის ფასზე არ ემოქმედა.

– ჩვენ მაინც მოვახერხეთ, რომ ბილეთების ფასი ისეთივე ყოფილიყო, როგორც შარშან და ბილეთები 50-100 ლარამდე ეღირება. უფასო ნაწილში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სალომე კორკოტაშვილია, რომელიც ნიუ ორლეანის ჯაზფესტივალზე გამოვიდა. იგი ნიუ ორლეანის ფესტივალის დირექტორმა აღმოაჩინა, როცა ის ჩამოსული იყო ბათუმის ჯაზფესტივალზე, – განმარტა მიშა გიორგაძემ.

ფესტივალის მხარდამჭერები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ბათუმის მერიაა. ფესტივალის ორგანიზატორი „ისთერნ ფრომოუშენია“.

წინა თვეში გავრცელდა აუდიტის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ კულტურის სამინისტრო „ისთერნ პრომოუშენს“ სოლიდურ თანხებსურიცხავდა. „ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტის“ მიერ სამინისტროდან მიღებული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ისთერნ პრომოუშენს“ გასულ წელს კულტურის სამინისტრომ 1 356 800 ლარი ჩაურიცხა ახალციხეში კონცერტისთვის; 460 ათასი ევრო – ბათუმში ჯაზფესტივალისთვის, 207 298 დოლარი – 26 მაისს კონცერტის ორგანიზებისთვის, 90 ათასი ლარი – თბილისის ჯაზფესტივალზე ჩიკ კორეას მონაწილეობისთვის, 57 817 დოლარი – კაროლინა კემპბელისთვის.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ 2013 წლის 30 აპრილს, საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრის დროს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ბათუმის ჯაზფესტივალზეც ისაუბრა და აღნიშნა:

„ამავე დროს ვთქვი ისიც, რაც არ მომწონდა და ეს არის მასიურ სანახაობასთან დაკავშირებული, რაც ბათუმში კეთდებოდა, დიდი ჯაზის ფესტივალი, ანდა ვარსკვლავების ჩამოყვანა და ამაზე სახელმწიფო ფულის ხარჯვა. მე ვთვლი, რომ ეს თვითკმარი მიმართულებებია და ჩვენ ამაზე ფულს არ დავხარჯავთ. ის, რაც მოგვწონდა, დავტოვეთ, ხოლო ვაგრძელებთ იმას, რაც მიგვაჩნია, რომ აუცილებლად გასაკეთებელია“.

კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით, სახელმწიფო უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანაზე ფულს აღარ დახარჯავს.

# „საბა“ რჩეულებს სექტემბერში დააჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურული პრემია „საბას“ 2013 წლის დაჯილდოება ზაფხულის ნაცვლად შემოდგომაზე, სექტემბერში გაიმართება. კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, თიბისი ბანკი „საბას“ დაჯილდოების ცერემონიას სექტემბრის პირველ ნახევარში გეგმავს.

როგორც თიბისი ბანკის წარმომადგენელი მაიკო ძირკველიშვილი განმარატვს, წინა წლებში „საბას“ დაჯილდოება, ტრადიციულად, ივნისის ბოლოს ან ივლისის დამდეგს იმართებოდა ხოლმე. წელს ამ ღონისძიების 2 თვით გადაწევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ „საბას“ კონკურსზე უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის განაცხადები შემოვიდა.

– კერძოდ, წლევანდელი საკონკურსო წიგნების ნუსხა 265 წიგნს მოიცავს, რაც დაახლოებით 80%-ით მეტია წინა წლებთან შედარებით. ეს ფაქტი თავისთავად ძალზე სასიხარულოა, თუმცა, აქედან გამომდინარე, კონკურსის ჟიური უფრო მეტ სამუშაო დროს საჭიროებს. გარდა ამისა, დაჯილდოების თარიღის გადაწევა დადებითი მოვლენაა იმის გამოც, რომ წელს წიგნისმოყვარულ საზოგადოებას გაცილებით მეტი დრო ექნება იმისათვის, რომ შეიძინონ და წაიკითხონ ფინალისტები ე.წ. შორთლისტებში მოხვედრილი წიგნები, – აღნიშნავს მაია ძირკველიშვილი.

მისივე თქმით, ფინალისტების ვინაობა ცნობილი გახდება ივნისის ბოლოს, როდესაც თიბისი ბანკი ოფიციალურად გამოაქვეყნებს წლევანდელ შორთ ლისტს „საბას“ ვებ გვერდზე. ამის შემდეგ საზოგადოებას სრული 2 თვე ექნება იმისათვის, რომ თავად წაიკითხონ კონკურსის ფინალურ ეტაპზე წარდგენილი წიგნები და უგულშემატკივრონ ფავორიტ ავტორებს.

– წელს „საბა“ გაიცემა 10 ნომინაციაში. ახალი ნომინაცია, რომელიც კონკურსს მიმდინარე წელს დაემატა, არის „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი“. ამ ნომინაციაში ქართველ მთარგმნელებთან ერთად, უცხოელი მთარგმნელებიც არიან კონკურსანტები, – აღნიშნავს თიბისი ბანკის წარმომადგენელი.

ლიტერატურული პრემია „საბა“ გაიცემა შემდეგ ნომინაციებში – წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო დებიუტი, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა, წლის საუკეთესო თარგმანი, წლის საუკეთესო პიესა და პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ეს უკანასკნელი ნომინაცია სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვთ ჭაბუა ამირეჯიბს, ვახუშტი კოტეტიშვილს, ბაჩანა ბრეგვაძეს, ოთარ ჩხეიძეს, ანა კალანდაძეს, თამაზ ჩხენკელს, გურამ დოჩანაშვილს, ვახტანგ ჯავახაძეს, რეზო ჭეიშვილს.



ლიტერატურული პრემია „საბას“ არსებობის მანძილზე საინტერესო ფაქტებად მიჩნეულია: 2007 წელს არ გაიცა პრემია საუკეთესო პრემიის ნომინაციაში, ჟიურიმ 2006 წელს შექმნილი პიესების მხატვრული დონე ჟიურიმ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია; 2009 და 2012 წლების საბა საუკეთესო დებიუტისთვის და 2011 წლის საბა საუკეთესო კრიტიკისთვის ორმა კანდიდატმა გაიყო; 2011 წელს საბას დაემატა ახალი ნომინაცია – პრემია საუკეთესო კრიტიკისთვის; აკა მორჩილაძეს ყველაზე მეტჯერ, 5-ჯერ აქვს მიღებული „საბა“; ყველა ჯილდო მან საუკეთესო რომანის ნომინაციაში მიიღო,

ლაშა ბუღაძემ სამჯერ მიიღო „საბა“ საუკეთესო პიესის, ხოლო ერთხელ საუკეთესო რომანის ნომინაციაში; ერთზე მეტი „საბა“ აგრეთვე მიღებული აქვთ ბაჩანა ბრეგვაძეს, გიორგი ლობჟანიძეს, შოთა იათაშვილსა და ლევან ბრეგაძეს.

წელს ლიტერატურულ პრემიაზე გამარჯვებული ავტორები, „საბას“ პრიზებთან ერთად, თიბისი ბანკისგან ფულად პრემიებსაც მიიღებენ. წლევანდელი საპრემიო ფონდი კი 44 ათასი ლარია.

# „მის ევრაზია“ ეკა ბესელიას შვილი გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– წელს პუერტო რიკოს კონკურსანტმა გაიმარჯვა. ამერიკას და პუერტო რიკოს საოცარი კაბები ეცვათ, არაჩვეულებრივი ვარცხნილობები ჰქონდათ. ვიზაჟისტები, მასაჟისტები, დიზაინერები, პრესა, ტელევიზია, ყველა ახლდათ. მეც მინდა ჩვენმა ქვეყანამაც ასეთი დელეგაციებით რომ გაგვიშვას და ჟურნალისტებთან ერთად ვიყოთ კონკურსზე. მინდა თქვენთან ერთად წავიდე 29 ივლისს პანამაში „მის მსოფლიო თინეიჯერზე“ და ჟურნალისტებმაც გაიზიაროთ ის ემოციები, რაც ჩვენი კონკურსანტების გამარჯვების დროს ხდება.

***– ელოდით ამდენ წარმატებას?***

– პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ეს არის პირველი შემთხვევა სილამაზის კონკურსების ისტორიაში, როდესაც „მის მსოფლიო თინეიჯერიდან“ მეორე ადგილი ჩამოვიტანეთ და „მის ევრაზია“ ქართული სილამაზის კონკურსების ისტორიაში ქართველს არასოდეს ჩამოუტანია.

**ნანუკა აბრამიძე:**

– დიდი მადლობა ვანისა და ბაღდათის მეუფე ანტონს, ის რომ არა, ვერავინ დამაფინანსებდა, ვერ წავიდოდი კონკურსზე და ვერ მივაღწევდი ამ წარმატებას.

**ლიზა გუბელაძე:**

– დიდი ხანია ვარ ამ საქმით დაკავებული, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე კარგი სააგენტო ვართ ჩვენ „კატრინი“, ყველაზე კარგი მასწავლებელი გვყავს ბავშვებს და ძალიან მიხარია. ჩემი მასწავლებელი რომ არა, ვერც გავიმარჯვებდი და საერთოდ არაფერი მეცოდინებოდა. ყველაფერი მასწავლებელმა მასწავლა. ამ კონკურსზე ძალიან მაღალი იყო კონკურენცია, ყველა ლამაზი ბავშვი იყო, ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ. „მის ევრაზია“ რომ გავხდებოდი, არ მეგონა, მაგრამ რაღაც რომ გავხდებოდი, ვიცოდი. ეს გვირგვინი რომ დამადგეს, ვერ მივხვდი, მაგრამ კოკნურსი რომ დამთავრდა, მერე მივხვდი და ვიტირე.

**ეკატერინე მგალობლიშვილი:**

– ლიზი ძალიან ტიროდა, ორგანიზატორებს ძალიან უკვირდათ, რა ატირებდა მას, რადგან უცხოელები ძირითადად მაშინ ტირიან, როცა რამე სტკივათ და სიხარულისგან ტირილი ცოტა გაუკვირდათ.

## განცხადება

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის წალკის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის წევრ მეპაიეთა საერთო კრება მოწვეულია 2013 წლის 25 ივნისს, 16 საათზე.

**დღის წესრიგი:**

1. წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. კოოპერატივის მეპაიე წევრების ნაწილის წევრობიდან გარიცხვის, გარდაცვლილი წევრების კოოპერატივის წევრობიდან ამორიცხვისა და კოოპერატივში ახალი მეპაიე წევრების მიღების საკითხი.

წესდების პროექტსა და წევრთა სიას ცვლილებების პროექტით შეგიძლიათ გაეცნოთ კოოპერატივის გამგეობაში.

**კრება გაიმართება წალკა, კლდეკარის ქ. №2-ში.**

***წალკის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა***

## დილა დევდარიანით შეივსო, ტორპედო – ბავშვებით

საფეხბურთო კლუბ გორის „დილას“ ვებგვერდის ცნობით, ვალდას ივანაუსკასის წასვლის შემდეგ, ქართლელებს სათავეში გიორგი დევდარიანი ჩაუდგა. ამის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით და კულუარულად გავრცელებული ინფორმაცია საბოლოოდ, დადასტურდა.

ახალგაზრდა სპეციალისტს უმაღლეს ლიგაში მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება აქვს.

2001 წელს მისი გაწვრთნილი თბილისის „თბილისი“ საკმაოდ ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, სადაც წარმოაჩინა კიდეც თავი საინტერესო სპეციალისტად, რაც ქართველ გულშემატკივარს უთუოდ უნდა ახსოვდეს. შემდეგ 2009 წლიდან ბატონი გიორგი მოღვაწეობდა საქართველოს 17 და 19 წლამდელთა ნაკრებებში, რომლებმაც ელიტრაუნდში მოხვედრით დაამახსოვრეს ქართველ გულშემატკივარს თავი. იგი ასევე გახლდათ 21 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად.

ამიერიდან გიორგი დევდარიანი „დილას“ მთავარ მწვრთნელად იმუშავებს.

აქვე მოგახსენებთ, რომ 4 ახალი მწვრთნელის წარდგენა დღეს გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შედგება.

თბილისის „ლოკომოტივიდან“ კი, ქუთაისის „ტორპედოში“ 17-19 წლის 17 ფეხბურთელი ჩაირიცხა. ახალი სეზონიდან იმერულ გუნდში იქნებიან:

**მეკარეები:** ბექა ტყემალაძე (18 წლის), ბაჩო მიქავა (19);

**მცველები:** გიორგი გოროზია (18), რევაზ ჩიტეიშვილი (19), დავით მთივლიშვილი (18), გიორგი გაბაძე (18), გიორგი გურეშიძე (17), ნიკა წივწივაძე (17), ომარ პატარკაციშვილი (17);

**ნახევარმცველები:** მათე ცინცაძე (18), ერეკლე სულთანიშვილი (18), ლუკა კაპაბიძე (18), ჯემალ ყანჩაველი (17);

**თავდამსხმელები:** ალეკო შეუპაშვილი (18), დავით ჯიქია (18), გიორგი დუმბაძე (17), დავით გუჯაბიძე(17).

მ. ჟ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მუქი ფერის მაღალალკოჰოლიანი ბრიტანული ლუდი; 2. ახალნაქორწინები ქალი ოჯახში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 5. კრემისგულიანი ნამცხვარი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 11. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 12. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 14. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 18. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 19. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე.

**თარაზულად:** 4. პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტი შვეიცარიაში; 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 7. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 8. ბოშათა წინამძღოლი; 10. ბალნეოლოგიური კურორტი ზუგდიდის რაიონში; 13. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 15. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 16. მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი, იტალიელი მოტოციკლეტისტი; 17. ფულის ერთეული მექსიკაში; 20. ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 22. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 23. ესტონეთის პრეზიდენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ბრუკი; 3. „ვალენსია“; 4. პროფანი; 5. „ფიუზელაჟი“; 9. ღრეობა; 12. კანიონი; 14. ვინიცა; 15. „ლელო“; 17. ბუერი; 18. „იკაო“.

**თარაზულად:** 6. ზუკარი; 7. მაშრაბი; 8. ოპტიკა; 10. „დაფნე“; 11. „ნაცარქექია“; 13. წვეულება; 16. ბაგები; 19. კორონერი; 20. „ყაპარეტი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვენეცია; 2. ორიენტირი; 3. ყინწვისი; 4. პერგოლა; 5. „გვრინი“; 9. რონოდა; 11. რუსტიკა; 12. სეტყვა; 14. „სიმენსი“; 18. ეთერი; 19. დურდო.

**თარაზულად:** 4. პუდელი; 5. „გაგრიფში“; 6. გინზა; 7. პრატერი; 8. „ფურორი“; 10. უნური; 13. იბისი; 15. „ტვენტე“; 16. სიტყ; 17. კარე; 20. ეტიუდი; 21. კამინა; 22. კარკასი; 23. „დროება“.

# დიფ ფარფლი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ჯგუფი დიფ ფარფლი თბილისშია. მათი კონცერტი დინამო არენაზე 5 ივნისს არის დაგეგმილი. ჯგუფის წევრებს აეროპორტში „ალტერვიჟენ გრუპის“ ხელმძღვანელი აჩიკო გულედანი, მათი შემოქმედების ფანები და ბაიკერები დახვდნენ.

ჯგუფი „თბილისი ოპენ ეარ 2013“-ში მიიღებენ მონაწილეობას, საათნახევრიან კონცერტს გამართავენ და ცნობილ ჰიტებს დაუკრავენ.

დიფ ფარფლი ჰევი მეტალისა და თანამედროვე ჰარდ როკის მწვერვალად არის მიჩნეული. მათ მთლიანობაში 100 მილიონზე მეტი ალბომი აქვთ გაყიდული. მიუხედავად იმისა, რომ ჯუგფის კარიერა არაერთხელ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ და შემდაგენლობაც რამდენჯერმე შეიცვალა, ბრიტანული ჯგუფი დღემდე მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარულობით სარგებლობს.

— ჩვენ მოვაწყეთ წინასწარი ფართი, რომ დავმუხტულიყავით და მოვმზადებულიყავით 5-სთვის. დინამო არენაზე შევხვდებით ერთმანეთს ხუთში, ეს იქნება რეგიონში პირველი მასშტაბური ფესტივალი და არ უნდა გამოტოვოთ. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, რომ ყოველ წელს განვვითარდეთ. წლევანდელი ფესტივალი საპასუხისმგებლოა. მსოფლიო პრომოუტერები ყველაფერს შეაფასებენ და იმედია, მალე საქართველოც გაჩნდება მსოფლიო ვარსკვლა-




ვების ტურნეებში. ფესტივალისთვის სამზადისი თითქმის დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები კარგ ტემპში გაიყიდა, მსურველს მისი შეძენა ფესტივალის დღესაც შეეძლება. გარდა ამისა, კონცერტის დღეს დინამო არენაზე სპეციალურად „თბილისი ოფენ ეარ 2013 წლის“ დღისთვის დამზადებული მაისურები გაიყიდება, — განაცხადა აჩიკო გულედანმა.

„ალტერვიჟენ გრუპის“ ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი 2009 წლიდან ტარდება. ფესტივალის 5-წლიან ისტორიაში მუსიკალური პროგრამა წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური იქნება. „მუსიკა ათავისუფლებს“ — ამ სლოგანით გამართულ მუსიკალურ ფესტივალში წელს მონაწილეობას მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები მიიღებენ.

# 102-ე დაბადების დღეზე ამერიკელი პარაშუტით გადმოხტა



ამერიკის შტატ აიდაჰოს მცხოვრებმა დოროთი კასტერმა, თითქმის 150 მეტრი სიმაღლის ხიდიდან პარაშუტით გადმოხტომით, 102-დაბადების დღე აღნიშნა. ამასთან, ეს ინსტრუქტორთან ტანდემში გააკეთა.

„თავიდან პარაშუტით თვითმფრინავიდან გადმოხტომას ვგეგმავდი, მაგრამ მერე გადავიფიქრე და დაბადების დღის მშვიდად აღნიშვნა გადავწყვიტე. მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა: „ჩემმა შვილებმა ხიდიდან ეს გადმოხტომა მაჩუქეს“, — ამბობს ცნობილი ექსტრემალი.

ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოებაზე საუბრისას დოროთი ამბობს: „არასოდეს ვფიქრობ ასაკზე. უბრალოდ ვცხოვრობ, ამისგან სიამოვნებას ვიღებ და ვაკეთებ იმას, რაც საჭიროა“.

**გ. მ.**

# მინისტრი წყალბურთელებს შეხვდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდა. წყალბურთელებთან შეხვედრას საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელები და ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძეც დაესწრნენ.

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა (1996-1997 წლებში დაბადებულნი) ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ჩვენმა გუნდმა თბილისში გამართული საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო და 8-15 სექტემბერს მალტაში, კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელისთვის იბრძოლებს.

იოვან პოპოვიჩის ნაკრებმა პირველ ტურში მოლდოვა 16:6, მეორეში კი სლოვაკეთი 13:5 დაამარცხა. მესამე ტურში ქართველი ახალგაზრდები ერთ-ერთ ფავორიტს, გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ — დაძაბული შეხვედრა 7:7 დასრულდა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი უკანასკნელ ტურში, ჰოლანდიასთან 10:9 გამარჯვების შემდეგ მოიპოვა, თუმცა ჩვენი გუნდი ფრეს შემთხვევაშიც პირველ ადგილზე გავიდოდა, რადგან ამ თამაშამდე გერმანელებმა სლოვაკებთან ქულები დაკარგეს — 6:6.

**მ. ჟ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი, ქართულ-აფხაზური პრობლემის აქტიური ჭირისუფალი, თავისი კუთხისა და გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი

**ოთარ ჩხოტუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბელორუსი პროკურორი: „ქონება უნდა ჩამოვართვათ მათ, ვინც მის წარმომავლობას ვერ ხსნის“



ვიტებსკის ოლქში ბელორუსმა პროკურორმა გენადი დისკომ „მრგვალ მაგიდაზე“ განაცხადა, რომ საჭიროა კორუფციასთან ბრძოლა — ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ქონების, სახლების, მანქანების წარმომავლობას ვერ ხსნიან, უბრალოდ ყველაფერი უნდა ჩამოერთვათ, იტყობინება „ბელორუსის ახალი ამბების სამსახური“. საუბარია მათზე, ვინც ოფიციალურად მოკრძალებული ხელფასის პირობებში, ძვირადღირებულ უძრავ ქონებას და ავტომობილებს ყიდულობს. პროკურორის წინადადებით, ამოღებული ქონება სახელმწიფო ხაზინას უნდა გადაეცეს.

დისკო თვლის, რომ მთლიანობაში ანტიკორუფციული კანონმდებლობა რეფორმირებას საჭიროებს. პროკურორი ამატებს, რომ ვიტებსკის ოლქში ზედიზედ მესამე წელია კორუფციული დანაშულის რიცხვი იზრდება. წლის დასაწყისიდან იქ 149 ასეთი დანაშული გამოვლინდა, უმრავლეს შემთხვევაში ადამიანებს ქრთამზე იჭერდნენ, აღნიშნავს ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი.

მრგვალ მაგიდაზე პროკურატურამ საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც მიიწვია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კორუფციული დარღვევები ყველაზე ხშირად ფიქსირდება წარმოების სფეროში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ასევე სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში.

დისკოს არ ანაღვლებს ის ფაქტი, რომ ეს ეწინააღმდეგება სასასამართლო წარმოების ძირითად პრინციპს, კერძოდ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ადამიანი დამნაშვე არ არის, სანამ საპირისპირო არ არის დამტკიცებული. ამასთან, თავად ადამიანი არ არის ვალდებული ამტკიცოს, რომ დამნაშავეა, აღნიშნავენ ჟურნალისტები. გამოცემა აღნიშნავს, რომ სამართლის დარგში ეს მიღწევა არ იყო „სტალინის დროს გლეხების გაკულაკებისას, როდესაც ქონების კონფისკაციისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ ადამიანი სხვებზე უკეთესად ცხოვრობს“.

# „მის ჩინეთმა“ „შეუფერებელი ქცევისთვის“ სამუშაო დაკარგა

რუსი ბიზნესმენის, ვლადისლავ დორონინის ხუთწლიანი რომანი ტოპ-მოდელ ნაომი კემპბელთან წარსულში დარჩა. დაშორებიდან თვე არ გასულა, რომ მილიარდელმა ახალი მეგობარი — სახელგანთქმულ „შავ პანტერაზე“ 20 წლით უმცროსი, მაგრამ ასევე ტიტულოვანი და არანაკლებ ეგზოტიკური გარეგნობის მქონე ჩინელი მოძებნა. მოულოდნელი ბედნიერების გამო, 25 წლის „მის ჩინეთი 2011“-მა ლო ცზილინმა სამოდელო კონტრაქტი დაკარგა.




„ცზილინთან კონტრაქტი გასულ კვირაში შეწყდა“, — განაცხადა „დეილი მეილისთან“ საუბრისას სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელმა ნილ ჰამილმა. მისი თქმით, მიზეზი გახდა მოდელის „არაპროფესიონალური ქცევა“ და „მის მიერ შრომის ეთიკის დარღვევა“.

დორონინის და კემპბელის დაშორებაზე ერთი თვის წინ გახდა ცნობილი. ტაბლოიდებზე გავრცელებული ინფორმაციიდან ორ კვირაში, რუსი ბიზნესმენი საკუთარ იახტაზე 23 წლის შავკანიანი მოდელის, ჯაზმა კენდრიკის კამპანიაში ერთობოდა. თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ისინი მხოლოდ მეგობრები არიან.

დორონინის ახალი რჩეული კი ჩინელი ლი ცზილინი გახდა, რომელსაც როზალინის მეტსახელით იცნობენ. მილიარდელმა გოგონა იმავე კემპბელის საშუალებით გაიცნო, წლის დასაწყისში მან ნორჩი მოდელი თავის ტელეშოუში მიიღო, სამოდელო სიბრძნეებს ასწავლიდა და კარიერაში ეხმარებოდა. მაგრამ შავკანიანი ბრიტანელი გვერდზე გადგა თუ არა, ახალგაზრდა მეტოქემ მისი ადგილი დაიკავა. და აი, წყვილი უკვე ახარებს პაპარაცებს, იბიცაზე სიყვარულის დემონსტრირებით.

ამასთან, ლო ცზილინი სამუშაოზე დაბრუნებას ჯერ არ აპირებს. „დეილი მეილის“ მონაცემებით, ახლა ის დორონინთან ერთად ევროპაში მოგზაურობს და ამ დროისთვის ვენეციაში იმყოფება.

# გაერო: „ქიმიურ იარაღს სირიაში ორივე მხარე იყენებდა“

ქიმიური იარაღი სირიაში, სადაც უკვე ორი წელია სისხლიანი დაპირისპირება გრძელდება ბაშარ ასადის ჯარებსა და ამბოხებულებს შორის შესაძლოა კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს გამოეყენებინა. ასეთ დასკვნამდე გაეროს ინსპექტორები მივიდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ ბი-ბი-სი ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციით, ექსპერტებმა „საკმარისი საფუძველი“ ნახეს იმისათვის, რომ ამტკიცონ, რომ ქიმიური იარაღი ოთხჯერ იქნა გამოყენებული — მიმდინარე წლის მარტში და აპრილში.

ანგარიშის ავტორებმა ქიმიურ იარაღში არსებული მომწამლავი ნივთიერებების დასახელებისგან თავი შეიკავეს.

აღსანიშნავია, რომ სირიელი ამბოხებულები და მთავრობა გამუდმებით ერთმანეთს ადანაშაულებენ ქიმიური იარაღის გამოყენებაში და ყოველ ჯერზე ორივე მხარე მის გამოყენებას უარყოფს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოება სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას ასევე მოუწოდებს დროებით შეწყვიტონ ცეცხლი ქალაქ კრუსეირში, რათა მშვიდობიანმა მოსახლეობამ ქალაქის დატოვება შეძლოს.

ამ ფონზე, სირიის ოპოზიცია ულტიმატუმის ფორმით მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან ხელს ნუ შეუშლის სირიის ტერიტორიაზე მოსალოდნელ საერთაშორისო შეჭრას და ემუქრება, რომ თუ ეს პირობა შესრულებული არ იქნება — საბრძოლო მოქმედებები ლიბანში დაიწყება.

აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტებისათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ რაც „სირიის თავისუფალი არმიის“ მეთაურმა სალიმ იდრისმა გაეროს უშიშროების საბჭოს წერილი გაუგზავნა.

ამ განცხადების მთავარ მიზეზად რუსეთს მიერ გასულ შაბათს ქალაქ ელ-კუსეირიში მომხდარი ამბების შესახებ განცხადების დაბლოკვა გახდა, რომელიც უშიშროების საბჭოზე იყო გამოტანილი.

„ელ ქუსეირის მცხოვრებლების სახელით უმაღლესი სამხედრო საბჭო მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან უარი თქვას თავის წინააღმდეგობაზე საერთაშორისო ჩარევის მიმართ“, — ნათქვამია წერილში.

იდრისი ასევე მიუწოდებს გაეროს ზეწოლა მოახდინოს ასადის მთავრობაზე, იმისათვის რათა მათ ელ-კუსეირზე იერიშები შეწყვიტონ და ქალაქში ჰუმანიტარული დახმარება დაუყოვნებლივ შეიტანონ. თავის მხრივ, ის პირობას დებს, რომ ჰუმანიტარული დახმარების ტრანსპორტირებას ხელს არ შეუშლის.

იდრისი ასევე აფრთხილებს ყველას, რომ ლიბანური შიიტური მოძრაობა „ჰეზბოლა“ სირიაში თავის მოქმედებებს ააქტიურებს და მისი ბოევიკები ამჟამად ალეპოში იმყოფებიან, ასვე დამასკოს მოსაზღვრე რაიონებში.

„მოვითხოვთ საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერებას და იმას, რომ ლიბანის მთავრობამ მიიღოს ზომები ჰეზბოლას ბოევიკების სირიის ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი გავხდებით ჩვენი ბრძოლა ასადის რეჟიმთან ტრანსსასაზღვრო ბრძოლად გადავაქციოთ“, — ნათქვამია წერილში.

„რუსეთსა და სირიას შორის შეთანხმება ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექს ს– 300-ის მიწოდებასთან დაკავშირებით ჯერ არ არის რეალიზებული“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა დღეს, 4 ივნისს, ეკატერინბურგში ყოფნისას.

„რაც შეეხება კომპლექს ს–300-ს, ის ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. ეს სერიოზული იარაღია. ჩვენ არ გვსურს რეგიონში ბალანსის დარღვევა, მაგრამ კონტრაქტს ხელი რამდენიმე წლის წინ მოეწერა და ის ჯერ რეალიზებული არ არის“, — განაცხადა პუტინმა რუსეთ-ევროკავშირის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, ეკატერინბურგში.

გასულ კვირას მედიასაშუალებები იტყობინებოდნენ, რომ სირიას უკვე მიაწოდეს კომპლექს ს–300-ის პირველი პარტია.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



# TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**5 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „ჟორიკანა“ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო“ 18.00 დ/ფ „პლანეტა დედამიწის სიღრმეში“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება“ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 22.10 ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: დანია — საქართველო 00.10 მხ/ფ „მკვლელი ნინძა“ (ტიტ.) 02.00 „დღეს ორის ნახევარზე“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 10.30 „არგუმენტების დრო“ (სამშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი“ მე-2 ნაწ. 16.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ მე-6 (დასკვნითი) ნაწ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „მაგნატები“ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ფულთან თამაში 23.00 კრიმ. სერ. „უკანასკნელი ნათლია“ 3 სერ. 00.15 მხ/ფ „გრინსთრითელი ხულიგნები“ (კ.ფორლანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „გრიმი“ 00.30 კინოაფიშა. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ჰაჯი მურატი-ფილმი,რომელიც არ დაიდგა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 „შუადღე“ ერთსულოვნებაზე 14.20 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.50 ჩვენი ბიბლიოთეკა 16.20 დოკ/ფ „ადილა“ 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „მყუდრო სავანე“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მხ/ფ „ქრისტინე“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ანა და მეფე“ I სერ. 02.30 სიახლენი

**მაესტრო** 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00 მაგთიფანი (გამ) 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6495

ევრო — 2,1462

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5158

100 რუსული რუბლი — 5,1469

## ამინდის პროგნოზი 5 ივნისისთვის





## 29 მაისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


# „მის ევრაზია“ ეკა ბესელიას შვილი გახდა

ეკა ირემაშვილი

ბულგარეთში გამართულ „მის თინეიჯერი 2013“ წლის კონკურსში „მის ევრაზიას“ ტიტული 9 წლის ლიზი გუბელაძემ მოიპოვა, რომელიც პარალმენტარის, ეკა ბესელიას შვილია.

როგორც საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ხელმძღვანელმა ეკატერინე მგალობლიშვილმა განაცხადა, ეს კონკურსი ქართველი კონკურსანტებისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყნიდან წარდგენილმა ოთხივე კონკურსანტმა სხვადასხვა ნომინაციებში გაიმარჯვა და საპრიზო ადგილებიც დაიმსახურა. კონკურსის პირველ ხუთეულში მოხვდნენ მაგდა ვაჩეიშვილი, ნანუკა აბრამიძე და ნინი ზართანია, მათ მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს.



ეკატერინე მგალობლიშვილის თქმით, ის არის ეროვნული დირექტორი ამ კონკურსებისა საქართველოში და ასევე მსოფლიო ჟიურის წევრი.

**ეკატერინე მგალობლიშვილი:**

— სამოდელო სააგენტო „კატრინი“ ფლობს ლიცენზიას და ექსკლუზივს საქართველოში ჩაატაროს „მის საქართველო თინეიჯერი“ „მის მსოფლიოსთვის“. 2012 წელს საქართველოდან ლიდა ჩხაიძე გაემგზავრა ჩემთან ერთად, სადაც გვატემალაში 100-მდე ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას და ჩამოვიტანეთ მეორე ადგილი. ასევე ჩვენი სამოდელო სააგენტო ფლობს ექსკლუზივს ჩაატაროს პროექტი „ბესტ მოდელ ოფ ზი ვორდ“, ეს არის პროექტი, სადაც ნაომთან და ყველა ცნობილი მოდელთან ერთად კონკურსანტები ღებულობენ მონაწილეობას. ამ კონკურსზე წაყვანილი გვყავდა თამთა ქენქაძე და გახდა პროექტის ფეისი.

რაც შეეხება ლიზი გუბელაძის წარმატებას, გუშინ ჩამოვფრინდით კონკურსიდან „ბესტ ჩაილდ ოფ ზი ვორდ“, რომელიც ჩატარდა ბულგარეთში. წაყვანილი მყავდა ლიზი გუბელაძე, ნინი სართანია, მაგდა ვაჩეიშვილი და ნანუკა აბრამიძე. ეს კონკურსი იყო 4 წლიდან 14 წლის ჩათვლით კონკურსანტებისთვის, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში. სულ ხუთი ასაკობრივი კონკურსი იყო. რადგან საბავშვო კოკნურსი იყო, ელემენტარული ნომინაციები ყველას მისცეს, მაგრამ ყველაზე მთავარი ნომინაცია იყო „ბესტ მოდელ ოფ ზი ბესტ“ მსოფილიო ვორდი და კონტინენტი — ევრაზია აფრიკა და ამერიკა. „მის ევრაზია“ გახდა ლიზი გუბელაძე. მინდა მასზე ვისაუბრო და აღვნიშნო, რომ აქვს არაჩვეულებრივი ხმა, იმღერა სიმღერა და მოხიბლა მსოფლიო თავისი სიმღერით. მან მეორე ტიტულიც მოიგო, ლიზამ გაიმარჯვა ნომიანციაში „ტალანტი“. მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ნანუკა აბრამიძე და პარალელურად გახდა კონკურსის სახე. გოგონა უკვე 4 წელია მოღვაწეობს სამოდელო სააგენტო „კატრინში“, არის უკვე პროფესიონალი მოდელი, ასე აღიარეს და 150-მდე ბავშვი ნანუკას გამოყავდა სცენაზე. მაგდა ვაჩეიშვილი გახდა ფოტომოდელი და ყველაზე საუკეთესო საღამოს კაბა. ნინი სართანია გახდა მეორე ადგილის მფლობელი და ტოპმოდელი. ასეთი ხელდამშვენებულები ჩამოვედით საქართველოში.

***— გამარჯვებულები ვინ გამოავლინა?***

— ჟიურიმ, რომელშიც ბევრი ცნობილი სახე იჯდა. პირადად მეც ვიჯექი ჟიურში, საუკეთესო 10 ეროვნული დირექტორი შეგვარჩიეს სხვა ცნობილ სახეებთან ერთად, მსოფლიოში 30-მდე ჟიურის წევრი იყო მიწვეული. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა ყველა ქვეყნის ეროვნულ დირექტორებს. ჩვენ გადავწყვიტეთ, საქართველოში ჩავატაროთ მსოფლიო საბავშვო ფეშენ ვიკი და ყველა ეროვნულ დირექტორს სურვილი აქვს ჩამობრძანდეს საქართველოში თავის ბავშვებთან ერთად. ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე მიმდინარეობდა კონკურსები, ეს იყო ნაციონალური კოსიტიუმი, ტალანტი და ბევრი კონკურსი, ბოლოს იყო დაჯილდოება. ამ კონკურსში სულ მონაწილეობდა 50-დან 70-მდე ქვეყნის 85 კონკურსანტი. ხმის მიცემა ასე ხდებოდა: 100-მდე ქვეყნის ეროვუნლი დირექტორი იყო ჩამოსული, პრეზიდენტმა აგვარჩია 10 ეროვნული დირექტორი, რომლებიც ვისხედით ჟიურში, ჩვენთან ერთად იყო ბევრი ცნობილი სახე. მე არ მქონდა უფლება, საქართველოსთვის მიმეცა ხმა. შეფასება იყო 5-დან 10 ქულამდე.

***— რამდენად მომზადებულები წახვედით?***

— შეძლებისდაგვარად მოვემზადეთ, მაგრამ როცა მსოფლიოზე მიდიხარ, ყველაფერია საჭირო, უნდა წაიყვანო კარგი კონკურსანტი, კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეს ყველა ეროვნულ დირექტორთან. ჩვენ გვახლდა დელეგაცია და მართლა ყველასგან გამორჩეულები ვიყავით, სულ ერთად ვიყავით, გვეფერებოდნენ, ერთად ვისხედით, გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ჩვენთან ჩამოსულიყვნენ, ყოველთვის განებივრებულები ვიყავით.

***— ვინ გახდა წელს გამარჯვებული?***


გაგრძელება მე-10 გვერდზე


# ხელოვნების სასახლე გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის იუბილეებს აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 5 ივნისს ქართული თეატრისა და კინოს ორი გამორჩეული ვარსკვლავის — გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის იუბილეები აღნიშნება. 5 ივნისს კახი კავსაძის დაბადების დღეა, მას 78 წელი უსრულდება, გივი ბერიკაშვილს კი 80 წელი 15 მაისს შეუსრულდა. ამ თარიღის აღნიშვნაზე უარი მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო თქვა.



გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე განუყრელი პარტნიორები არიან როგორც კინოიშ, ასევე ესტრადაზე და ცხოვრებაშიც. მათი მეგობრობა ოჯახებით უკვე ათეულ წლებს ითვლის. მაყურებელს მათი ცალ-ცალკე აღქმა ძალიან უჭირს, რადგან ფილმში, სადაც კახი კავსაძეა, აუცილებლად გივი ბერიკაშვილიც უნდა იყოს.



ორივე მსახიობი აღიარებს, რომ არ უყვართ საკუთარი დაბადების დღეები. მათთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულია, რომელსაც მსახიობები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ. მადლიერმა საზოგადოებამ მათ მშობლიური თეატრების წინ ვარსკვლავებიც გაუხსნა — გივი ბერიკაშვილს მარჯანიშვილის თეატრი წინ, კახი კავსაძეს — რუსთაველის თეატრის წინ.

გივი ბერიკაშვილის მშობლები კახელი გლეხები იყვნენ. სოფელ კოლაგში დღესაც ამაყობენ იმით, რომ გივი ბერიკაშვილი მათი თანასოფლელია. კახეთში გახსნილია გივი ბერიკაშვილის სახელობის ქუჩაც.

კახი კავსაძის მამა ცნობილი ლოტბარი დათაშკა კავსაძე იყო. მკაცრმა ცხოვრებამ მას თავის ოჯახთან ყოფნის ბედნიერება არ მიანიჭა. სიმღერის კვალს გაყვა მსახიობის ძმა — იმერი კავსაძე, რმოელიც უცხოეთში დიდი წარმატებით მოღვაწეობს.

მსახიობები ათეული წლის განმავლობაში ქართულ ესტრადაზე იდნგნენ და შოუბიზნეს ცენტრის „ლომისი“ ორგანიხებით ჩატარებულ საკონცერტო სერიებში „იუმორინა“ და „მღერიან და ხუმრობენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“ მონაწილეობდნენ.

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 5 ივნისისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** — პირად ცხოვრებაში დიდი სიხარული გელოდებათ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — ფული გაქვთ, პრობლემას კისერს მოუგრეხთ. **ქალწული** — ცოტაც მოითმინეთ და გეშველებათ. **სასწორი** — ახალ ამბებს გაიგებთ და მოგეწონებათ. **ღრიანკალი** — ფული გექნებათ, ახალ შემოთავაზებას მოჰყვება. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც მოდის და რაღაცას გახსენებთ. **თხის რქა** — თქვენი შრომა დაფასდება, ცოტაც მოითმინეთ. **მერწყული** — დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **თევზები** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, შინაგანად კარგად ხართ!

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ბნელი ღამე; 3. დიდი, სწრაფმავალი სამხედრო გემი; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. მატყლის ან სელისგან დამზადებული ძველ ბერძენთა გრძელი პერანგი; 12. გარკვეული მდგომარეობისა და მიმართულების მქონე სწორი ხაზის მონაკვეთი; 14. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 15. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 17. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 18. რაიონული ცენტრი იმერეთში.

**თარაზულად:** 6. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 7. „ფორმულა-1“-ში მონაწილე „რენო“ გუნდის მფლობელი; 8. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. საჯარისო შენაერთი; 11. მეტალურგიაში გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 20. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# ჰეიგმა სათბილისოდ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა დაასახელა ნაკრების 26-კაციანი შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ირბ-ს ეგიდით ჩასატარებელი თბილისის თასის მატჩებში. ორი კვირის წინ გამოქვეყნებული შემადგენლობისგან განსხვავებით, ნაკრებში გარკვეული ცვლილებებია.



რიგი ტრავმების გამო საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა. ნაკრების შემადგენლობაში არ არიან ანტონ ფეიქრიშვილი, შალვა მამუკაშვილი, ირაკლი ყიასაშვილი და გიორგი როხვაძე. ისინი თბილისში იმყოფებიან და, შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში ტურნირის მსვლელობისას გამოიძახონ.

— ტრავმების გამო ორიოდე კვირის წინ გამოქვეყნებულ შემადგენლობაში მოგვიწია რიგი ცვლილებების შეტანა. რაც შეეხება ვასილ კაკოვინს, ჯაბა ბრეგვაძესა და ლევან დათუნაშვილს, ისინი ამ ტურნირში არ მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ ნაკრებს არგენტინის წინააღმდეგ ტესტში გააძლიერებენ. ბევრს აინტერესებს, მამუკა გორგოძე ითამაშებს თუ არა არგენტინის წინააღმდეგ. დაძაბული ფრანგული სეზონის შემდეგ, მამუკას ნამდვილად სჭირდება დასვენება და აგრეთვე მცირე რეაბილიტაცია უნდა გაიაროს მკლავზე, მხარზე და მუხლზე. რაც შეეხება დავით ქუბრიაშვილს, კვლავ ტრავმების გამო, იგი გამოეთიშა როგორც თბილისის ტურნირს, აგრეთვე არგენტინის ტესტს, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.

ნაკრების 26-კაციანი შემადგენლობა ასეთია: სიმონ მაისურაძე, რევაზ ბელქანია, დავით ზირაქაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ირაკლი მირცხულავა, გიორგი თეთრაშვილი, კონსტანტინე მიქაუტაძე, ბექა ბიწაძე, ვახტანგ მაისურაძე, შალვა სუთიაშვილი, გივი ბერიშვილი, ვიტო კოლელიშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ბეგაძე, ვაჟა ხუციშვილი, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, თედორე ზიბზიბაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი მაჩხანელი, თამაზ მჭედლიძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, ბექა წიკლაური.

მ. ჟ.